გოგა მამუკელაშვილი

დარაჯი კრინტს ძრავს!..

პიესა უწყვეტ მოქმედებად.

პერსონაჟები

დარაჯი

გზისპირელი

მშვინვიელი

მედეა

ოიდიპოსი

იოკასტე

რეჟისორი

რეჟისორის ასისტენტი

სცენა

სცენის შუაში, სამსართულიანი, კიბეებიანი ნაგებობა დგას. პირველი სართული განასახიერებს ქუჩის ტროტუარს, მეორე - სასაფლაოს, რომელზეც ცარიელი თავახდილი კუბოა განთავსებული, ხოლო მესამე - მთის მწვერვალს, რომელზეც ხის უზარმაზარი ჯვარი დგას. პირველ და მეორე სართულებს შორის სათავსო უჯრაა, რომელიც ცარიელი და ღიაა. ნაგებობის მარჯვენა მხარეს დგას ოთხკარიანი დეკორაცია, მისგან მოშორებით ფორტეპიანო, ხოლო მარცხნივ - ფოლადის იასამანი. სცენის დანარჩენ იატაკზე სიმეტრიულადაა განთავსებული 3 ფოლადისავე კაკტუსის ქოთანი, უზარმაზარი სანაყი, ფილთაქვა, ჰორიზონტალურად დადებული იალქანი, საქაღალდე, თხილის ჯოხი, წალდი, ბაგა და უნაგირი.

ნაგებობის მესამე სართულზე, ჯვართან, თავჩაქინდრული გზისპირელი დგას ზურგით. სცენის მარჯვენა კუთხეში მშვინვიელია სანადირო თოფით ხელში, ჭრელი კოჭამდე კაბა აცვია. მარცხნივ კი ფეხშიშველი დარაჯია, რომელსაც პერანგზე სისხლი აქვს შემხმარი. ნაგებობის პირველ სართულზე, ქუჩის ტროტუარზე, იოკასტე, მედეა და ოიდიპოსი არიან ჩამუხლულები. მუცლებზე თოკები აქვთ მობმული ჭიპლარებივით, რომლითაც ოიდიპოსი და იოკასტე მედეას ხოლო მედეა კუბოს უკავშირდებიან. სცენის კიდეზე ბორბლებიან პლაცდარმზე ფირის კინოკამერა დგას, ობიექტივით დარაჯისაკენ მიმართული. მარცხენა კულისიდან საქმიანი ნაბიჯით შემოდის რეჟისორი, მზერა კამერისკენ აქვს და უყოყმანოდ მიემართება მისკენ. უკან ასისტენტი მოჰყვება დაბნეული მანერითა და თვალების ცეცებით. რეჟისორი კამერასთან დაჯდება, თავს დარბაზისაკენ

მიატრიალებს და მონოკლით შუქს შეამოწმებს, მაყურებელს არ შეიმჩნევს, ასისტენტი მის გვერდით მომლოდინედ შეჩერდება.

რეჟისორი

(მონოტონურად)
გამოცხადება იოანესი:
,,მე ვარ ანი და ჰოე, პირველი და უკანასკნელი; რასაც ხედავ, დაწერე წიგნში და დაუგზავნე შვიდ ეკლესიას.“
წერილი ამბობს:
,,ვიცი შენი საქმენი: შენ არც ცივი ხარ, არც ცხელი. ო, ნეტა ან ცივი იყო, ან ცხელი! მაგრამ რაკი ნელ-თბილი ხარ შენ, არც ცივი და არც ცხელი, ამიტომ ამოგანთხევ ჩემი პირიდან. ვინაიდან შენ ამბობ: მე მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და არაფერი მაკლიაო. ის კი არ იცი, რომ უბედური ხარ და საცოდავი, ღატაკი, ბრმა და შიშველი. მე გირჩევ, იყიდო ჩემგან ცეცხლით განწმენდილი ოქრო, რომ გამდიდრდე, და თეთრი სამოსელი, რომ შეიმოსო და აღარ ჩანდეს შენი სიშიშვლის აუგი, და თვალის მალამო, რათა წაიცხო თვალებზე, რომ ხედავდე. ვინც მიყვარს, მათ ვამხილებ და ვწვრთნი. აბა, ეშურე და მოინანიე.
აჰა, ვდგავარ კართან და ვრეკ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან. მე მასთან ვივახშმებ და ის ჩემთან.
გამარჯვებულს გვერდში მოვისვამ ჩემს ტახტზე ისევე, როგორც მე გავიმარჯვე და დავჯექი ჩემს მამასთან მის ტახტზე. ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს.“

რეჟისორი კვლავ კამერისკენ შებრუნდება, მარჯვენა ხელის დაქნევით ასისტენტს ანიშნებს, რომ გადასაღებად მზად არის და ეს უკანასკნელიც, ზემდგომს, კამერიანად გააგორებს უკან, კულისებში. რეჟისორი გზად ობიექტივს ჯერ დარაჯიდან გზისპირელზე გადაიტანს, ხოლო შემდეგ კი მშვინვიელზე და თვალს მიეფარება.

მშვინვიელი

თავს ზეცაში აღაპყრობს და ხელებს თოფიანად გაასავსავებს.
(მთრთოლვარედ, თითქმის ყვირილით)
ბაღნარში ფოთოლი ვარდებოდა,
დაბრძენებული ხეების ცისფერი სიზმრები გატეხილ ქვათა ამაო ქშენას
მიშტერებოდნენ. კამკამა მდინარეები მედგრობას ვეღარ ეგუებოდნენ.
დარაჯი თავს ფოლადის ბუჩქებისკენ შეატრიალებს, გზისპირელი ჯვარს ხელით შეეხება.
გაბოზებული, გამხდარი იასამანი ბარდნიდა მშვენიერებას. უშემოდგომო ტოტთა სიყვითლე აძღობდა მაყურებელთა მოცარულ სევდას.
ახლოვდებოდა მეძავის ქორწილი.
გზისპირელი ერთბაშად ჩაეხუტება ჯვარს, დარაჯი დაიჩოქებს და თავს ხელებში ჩარგავს.

მედროვე ვარდები, კუჭავსილები, ჰყვაოდნენ გარდასულ დროთა უფერულ დღეებს. ჩრდილოეთიდან, ბაღისკენ მიმავალ, უდაბურ ბილიკზე ჩნდებოდა ლანდი, რომელსაც თან სდევდა ატეხილ ქართა მგრგვინავი მდუმარება.

გზისპირელი განწირული ხმით შეჰყვირებს და მუხლებზე დაეცემა, დარაჯი თავჩარგულ ხელებს იატაკზე დაყრის და ოთხზე დადგება, მშვინვიელი რამდენიმე ნაბიჯს სცენის კიდისკენ გადადგამს და ნევროტულად დასცემს ბოლთას.

მშვინვიელი

(აფორიაქებულია)
მგრგვინავი მდუმარების უკუნ სიბნელეში, შიშის მორევში, გაგულისებული პატრიარქატის ტყვეობაში სულს, რომ ვღაფავდი. სიზმარმხილველნი ნუგეშის საცემლად გაიძახოდნენ: დარაჯი კრინტს ძრავს! ნუ გეშინია! დარაჯი კრინტს ძრავს!.. მაგრამ დარაჯი, როგორც ყოველთვის, როგორც სამყაროს დასაბამიდან, მდუმარედ იდგა.
თვალის ცეცებით, ქუთუთოების უტყვი პაჭუნით, მემატიანის კალმისტრის მსგავსი ენის წკლაპუნით, ჟამებს აღწერდა.. არ ერეოდა!

მშვინვიელი ოთხზე დამდგარ დარაჯს ფეხების ბაკუნით მიუახლოვდება, დარაჯი ოთხით შეეცდება კულისებში გაქცევას, მაგრამ მშვინვიელი თოფ მოუღერებ და დარაჯი თავს მკლავებში ჩარგავს საჯდომ აპრეხილი.

მშვინვიელი

(მრისხანედ)
სად მიიძურწები, დარაჯო?!
(პროდიით)
დარაჯი კრინტს ძრავს! ნუ გეშინია! დარაჯი კრინტს ძრავს! აა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა.. დარაჯი კრინტს ძრავს! ნუ გეშინია! დარაჯი კრინტს ძრავს!
(დამცინავად)
უუნარო ხარ, სასოწარკვეთილი და აკანკალებული სადაცაა შველას მოიხმობ, მაგრამ მშველელი იქნება განა?!
ხმა ამოიღე, ,,დაძარი კრინტი“, მავედრებელთა შვების მომგვრელო, ხმა ამოიღე, რაო, არ ესმით?! არ გცემენ პასუხს?! ჰაა, როგორია უმოქმედობა?!
დარაჯი კრინტს ძრავს! აა-ჰა-ჰა.. ნუ გეშინია! დარაჯი კრინტს ძრავს!..

მშვინვიელი დარაჯის დამცირებით გულს რომ იჯერებს, თოფს იატაკზე დააგდებს, ოთხზე დამდგართან ჩაიმუხლებს, ერთი ხელით ქეჩოში სწვდება, მეორეთი მის ჰენისს ჩაბღუჯავს და ყურში ჩასძახებს.

მშვინვიელი

(მოჩვენებითი თანაგრძნობით, ნიშნის მოგებით)
მგრგვინავი მდუმარების უკუნ სიბნელეში, შიშის მორევში, გაგულისებული მატრიარქატის ტყვეობაში სულს, რომ დაღაფავ, გულთმისანები ნუგეშის საცემლად დაგიძახებენ: დარაჯი კრინტს ძრავს! ნუ გეშინია! დარაჯი კრინტს ძრავს!..
მაგრამ დარაჯო, როგორც ყოველთვის, როგორც სამყაროს დასაბამიდან, განაგრძობ მდუმარედ დგომას.
თვალის ცეცებით, ქუთუთოების უტყვი პაჭუნით, მემატიანის კალმისტრის მსგავსი ენის წკლაპუნით, ჟამებს აღწერ და არ ჩაერევი!

უეცრად, ჯვართან ჩამუხლული გზისპირელი ასლუკუნდება, მშვინვიელი მას გახედავს, თოფს ხელს დაავლებს და წამოდგება. გზისპრელი თანდათან ჩანასახის პოზაში წვება და ახალშობილივით მოთქვასმს. მშვინვიელი ბრაზისაგან კბილებს დააღრჭიალებს, ფეხს დაბაკუნებს და აფორიაქებული თვალებს აბრიალებს.

მშვინვიელი

(მბრძანებლურად)
გზისპირელო! გზისპირელო მეთქი! მორჩი სლუკუნს, შე წვინტლიანო! წელში გაიმართე! გზისპირელო, ჩქარა, ფეხზე! ფეხზე, სანამ დაგახალე ტყვია შუბლში!

მშვინვიელი თოფს მოუღერებს, გზისპირელი სლუკუნით წამოდგება, ცრემლების ღვრას არ წყვეტს, მხრებსა და წელში მოხრილი კანკალებს, ხელებს უბეზე იფარებს. მშვინვიელი გაცოფებული შეაქცევს ზურგს, თოფის კონდახს იატაკზე დაუბრახუნებს, დარბაზს მიმართავს.

მშვინვიელი

(წყენით)
რა უქენით ჩემს გზისპირელს?! ხომ გინახავთ, თავის მკლავებს გალავნად, რომ შემოარტყამდა ხოლმე ჩემს მცირე წელს და ჩემსავე მარტოობას დარაჯობდა?!
მე თქვენ გეკითხებით, რა უქენით მეთქი ჩემს გზისპირელს?! რომელმა მოსპეთ და დააძაბუნეთ! სად არის კაცი, რომელზე ოცნებაც შიშით ზარდაცემულ ქარს ხის ფუღუროში გამოამწყვდევდა?! ეს, ის ცისარტყელაზე მოარული გზისპირელი აღარაა, ვისი ბაგეც დღე მუდამ ჩემს სახელს გაიძახოდა: მშვინვიელოოო..
მშვინვიელი თვალებს ხუჭავს და მოგონებებით მოთაფლული განაგრძობს მონოლოგს.
მშვინვიიიეელოოო!
მოგიტანე მთაგრეხილი, სავსე, უღელტეხილებით.
მოდი, სულში ჩაიკარი მწვერვალი და ჩემი გული.
ქვედაბოლოდ მოიქარგე, ცისარტყელა, ვარსკვლავებით.
ღრუბელნარი დაგიმშვენოს, უბემ, კალთით მოარული.
მშვინვიიეელოოო, მშვინვიიეელოოო!
ნეტარი ღიმილით მოგვრილი მშვინვიელი უცბად გამოფხიზლდება, თვალებს გაახელს

და თოფს მაყურებელს მოუღერებს.
(მუქარით)
აღიარე! ახლავე აღიარე! სად დამალე გზისპირელი რომლის სუნთქვაც ღრუბლებს ქშენდა?! ანდაც ფაშატი რა იქნა, მისი, შავი, კუნთმაგარი?! ან ხომალდი სად დამალე, მისი, აფრით მონაქარგი, ვეშაპებზე მონადირე, აიზბერგთა გამგმირავი?! ან მანქანა სად წავიდა, 1001 ცხენის ძალით, მისი, მძლავრი, ბორბალთმხვრელი?!
გამოუშვით გზისპირელი, შემომარტყას გალავანი, გამიფინოს ხალიჩებად ხმელეთი და ოკეანე! გამოუშვით გზისპირელი, რომ მომიძღვნას ზერა რიდედ!
მე არ მჯერა, არ მჯერა, რომ ეს კაცია გზისპირელი, არ მჯერა, რომ მე ვიყავი უსუსური და მის სლუკუნს ლომის ღრიალს ვამგვანებდი.
მე ვეფხვი ვარ, გესმით?! ვეფხვი.
გზისპირელი კი ლომია, ჩემი ლომი, მედგარი და მომხიბლავი, მე კი ვეფხვი, მისი ვეფხვი, მომლოდინედ შეუვალი.
ხმა გამეცით! ნუთუ მე ვარ უსუსური! აბა სცადეთ და უმწეო დამიძახეთ. მე არ მჯერა, რომ ამ კაცის მაყვლის ღობეს გალავნობას ვაბრალებდი

გზისპირელი

(სლუკუნით)
მშვინვიელო, მშვინვიელო, მშვინვიელო..

მშვინვიელი აცნობიერებს საკუთარ წარსულ უსუსურობას, ხვდება, რომ მოსლუკუნე ნადმვილად გზისპირელია, თვალებს იმედგაცრუებით ხუჭავს, სახეს მწუხარებით მანჭავს, თოფს ვერტიკალურად იკრავს მკერდზე, მძლავრად უჭერს, მთელი სხეულით თრთის, გზისპირელისკენ ერთბაშად ტრიალდება, მიზანში იღებს, ერთხანს იცდის, გზისპირელი შიშისაგან კიდევ უფრო მოიბუზება, მეტად ასლუკუნდება, მშვინვიელი ჩახმახს გამოკრავს, ერთბაშად მიტრიალდება დარბაზისაკენ, თოფს ხელს გაუშვებს და მუხლებზე დაეცემა.
გზისპირელი ნაგებობის მესამე სართულზე შებორძიკდება და ერთბაშად გადმოეშვება სცენის იატაკზე, იოკასტეს, მედეასა და ოიდიპოსის წინ დაეცემა,
მშვინვიელი ტირილს იწყებს, ხელის მტევნებს მკერდზე იცემს და თვალებს მაღლა აღაპყრობს.

მშვინვიელი

(მელანქოლიური მოთქმით)
მოკვდა სიამე,
გაქრა თვალთ კრთობა.
წაიღო ქარმა, ის,
რაც მიყვარდა.
სიჩუმე სუფევს, დასაბამიდამ,
დღემდე,
როდესაც მოკვდა მშვენება.

ნესტან-დარეჯან, შენი სინაზე,
მიხრა და მოხრა ანგელოზისა,
გთხოვ,
დამიბრუნე, ის, რაც მიყვარდა.
ის, ვინც ქარბუქმა წინ წარიმძღვარა.

მშვინვიელი თავს ჩაქინდრავს და გაშეშდება. დარაჯი ფრთხილად წამოყოფს თავს და წამოჯდება.
ოიდიპოსი წამოდგება, გზისპირელის ცხედარს მხარზე მოიგდებს და ნაგებობის მარჯვენა კიბეს შეუდგება. ნაბიჯების ხმა მშვინვიელსა და დარაჯს ერთბაშად დააფრთხობს, ორივე წამოდგება, მშვინვიელი თოფს აიღებს და დარაჯს გადაუგდებს. დარაჯი სწრაფად მიიტანს თოფს ნაგებობასთან, პირველ და მეორე სართულს შორის სათავსო უჯრაში ჰორიზონტალურად შედებს, უჯრას მიხურავს, ნაგებობის მესამე სართუზე აირბენს და ჯვარს თვითნებურად გაეცმება. ამასობაში ოიდიპოსი გზისპირელს კუბოში ჩააწვენს, თავს დაახურავს და დარბაზისაკენ შეტრიალდება. მშვინვიელ ფორტეპიანოს მიუჯდება და მძაფრი მუსიკის დაკვრას დაიწყებს.

ოიდიპოსი

(დაბნეული მწუხარებით)
მოკვდა.

აქამდე გაშეშებულ მედეას სახე ერთბაშად გაუბრწყინდება და ხელებს აღაპყრობს.

მედეა

(ზღვარგადასული აღტაცებით)
ჩაძაღლდაა!

იოკასტე ხელებით მუხლებს დაეყრდნობა.

იოკასტე

(ძალდატანებით)
განუტევა საწყლად სული!

იოკასტე და მედეა სცენაზე, ხოლო ოიდიპოსი ნაგებობის მეორე სართულზე მიმოსვლას იწყებენ და ერთმანეთს მიმართავენ.

ოიდიპოსი

ნეტავ მიწად რა დატოვა.

მედეა

ახია, რომ განს გავიდა!

იოკასტე

ღმერთს კარგები მიჰყავს მხოლოდ!

ოიდიპოსი

რატომ, რა ეჩქარებოდა!

მედეა

აა-ჰა-ჰა, ნუ მაბჟირებ არსებით გთხოვ!

იოკასტე

ვუერთგულებ მარმარილოს მძიმე ქვამდე!

ოიდიპოსი

გავბოზდები, როგორც უწინ!

მედეა

მე მის საფლავს გადავაფსამ!

იოკასტე

დღით თუ ღამით თაფლის სანთელს ვუგიზგიზებ.

ოიდიპოსი

მხურვალებით მოცულ ხსოვნას იმ დიადი პენისისას აწი გულით დავატარებ!

მედეა

მე მის პერანგს სატრფოს ვუძღვნი!

იოკასტე

მე მის საცვლებს გასარეცხად განვამწესებ!

ოიდიპოსი

მე მის ჰალსტუხს ჩამოსახრჩობ გაქნილ კვანძად გამოვყულფავ!

მედეა

ვპოვე, როგორც იქნა შვება!

იოკასტე

ჯერ მოიცათ საკმეველი მოვიტანო!

გზისპირელის სიკვდილით აღტაცებული მედეა საკუთარ თმაზე თამაშით ოცნებებში ჩაიძირება, ხოლო ოიდიპოსი და იოკასტე წაკინკლავდებიან.

ოიდიპოსი

უფლებას არ მოგცემ მას პატივი მიაგო, მეწველო ძროხავ!

იოკასტე

ჩექმა მომეცი შე ავადმყოფო, შიგ ნასკებია, უნდა გავრეცხო!

ოიდიპოსი

მოიცა, მე ხომ ვერ გადავწყვიტე, საფლავზე მოვფსა თუ ჯერ ჩექმებში?!

იოკასტე

როგორ ბედავ, რომ რქები დაადგა, უმადურო ძუკნა?!

ოიდიპოსი

რა შენი საქმეა მე ვისთან დავწვები, მათხოვარო?!

იოკასტე

ახლავე ილოცე მისი სულისთვის, თორემ ყელს გამოგჭრი!

ოიდიპოსი

მამაო ჩვენო, წყეულიმც იყოს გზისპირელის უგვანი სული! აა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა..

გაცხარებული იოკასტე, მეორე სართულზე მდგომ ოიდიპოსს მუხლებში სწვდება, რომ ჩამოაგდოს, სანაცვლოდ სილას მიიღებს სახეში, მაგრამ არ ნებდება. მათი ჩხუბი ოცნებებში გართულ მედეას გამოაფხიზლებს, თავს მოაბეზრებს და მათ გააშველებს.

მედეა

(დატუქსვით)
მორჩით, გონებაჩლუნგებო, მორჩით, აჰა, ხომ ჩაძაღლდა! შერგების დროც მოახლოვდა! ვერ ხედავთ, რომ მისთვის რისხვამ გულთმისნობა დაგიბინდათ? მორჩით მეთქი თქვე ქაჯებო! გონს მოეგეთ, გაიხედეთ, თავისუფლები ხართ ყველა, გაუსინჯეთ ენით გემო ზეცის უკიდეგანობას! გაიქეცით, ინავარდეთ, დაიპყარით მთა და ბარი. მიეცით ქარს ნება თქვენი, აგიშალოთ ეგ მონური, გადაკრული ნაწნავები. აბა ჩქარა, მკვირცხლად, აჩუ! აჩუ!

მედეა იოკასტეს საჯდომზე ხელს წამოარტყამს და ოიდიპოსს მოაშორებს, მაგრამ იოკასტე არ ჩერდება.

მედეა

ვოუ, ვოუუუ, დრრ, დრრ, მშვიდად, მშვიდად, აი ასე, ნუღარ ღელავ, ნაზად, ლაღად!

იოკასტე მშვიდდება, ზურგს სახეგაბრწყინებულ ოიდიპოსს აქცევს და ჩერდება. მედეა მასწავლებელივით იწყებს ბოლთის ცემას.

მედეა

(დამრიგებლურად)
შესაგნები დაგვრჩა მხოლოდ მაკრატელის არსებობა. მივიწყებულ, დაოკვებად, მღვრიე აუცილებლობას, ჩვენში სძინავს, ვეღარ უწყობს ხელს თვითგამომხატველობას. გავაღვიძოთ უნდა ყველამ მიძინებული განწყობა, მაკრატელი ჩვენს ხელთაა, მკაფიოა უცხადესად და ჩვენს მუცლად გამობმული, აბლაბუდა ჭიპლარების წარმოსახვითი მდგრადობა, ძირში მოვჭრათ, საგანგებოდ ავუმხედრდეთ გზისპირელის მორცხვ მოძღვრებას, რომელითაც ჭიპლარ-ჭიპლარ გადაგაბათ ყველა ჩემთან, მე კი მასთან. გახსოვთ? ესეც არ იკმარა, ფილაქანზე მიყინული ლამპიონის, გამომწყვდეული ნათების სახე-ხატად, მთვარეული სიკაშკაშე გადევნილი ჩვენი ექოდ, მოზომა და შემოსაზღვრა. ძირში მოვჭრათ გზისპირელის მოძღვრებისგან გამოზრდილი ჭიპლარები, ხოლო შემდგომ გსურთ აგროვეთ ნასკები და ტრუსიკები, გნებავთ თაფლის მადლსანთლები და თუ მოგეპიტნავებათ - ბანჯგვლიანი პენისებიც.

მედეა სამსართულიანი ნაგებობის მარცხენა მხარეს განთავსებულ ფოლადის იასამანთან მიდის რაღაცის ასაღებად, მაგრამ ჩერდება და კვლავ ოიდიპოსისკენ და იოკასტესკენ აბრუნებს თავს.

მედეა

(ამაყად)
მაშინ როცა ქოთნებიდან, მშვინვიელის თმის სიმებად აღმოვცენდით, ყველამ უწყით, რომ ეულად, ნებსითა თუ უნებლიედ, მე ჭაღარა მერგო წილად. ამიტომაც თქვენი ბედი სხვას ეკუთვნის, ხოლო ჩემსას მე განვკარგავს, როგორც მინდა, სადაც მინდა. ვინაიდან ტოლები ვართ და სამშობლოდ ქოთნები გვაქვს, თქვენი შინა პატიმრობა მეხება და სულს მიხუთავს.
მე არ გკითხავთ, რა გწადიათ, მონობა თუ აღმაფრენა, თუმცა გეტყვით: თუ ჭიპლარის ამოძირკვას არ ინდომებთ, წელიანად გადაგხლიჩავთ!
არ გეგონოთ, რომ მე, თქვენი ბედ-იღბალი შემაზარებს, მაგრამ დამანაღვლიანებს.

მედეა ფოლადის იასამნის უკნიდან უზარმაზარ მაკრატელს აძვრენს, ხელში იმარჯვებს, მშვინვიელი მძაფრ ნოტებს აიღებს, მედეა წელში იხრება, მაკრატელით ჰაერს ჭრის, ფრთხილი მონადირესავით, მუქარით დაიარება, სახეზე, მზაკვრული, გამარჯვების ღიმილი დასთამაშებს, იოკასტე ყოყმანით იბუზება მხრებში, ოიდიპოსი აღტაცებით იმარჯვებს ჭიპლარს გადასაჭრელად. მედეა დარბაზს გახედავს, მაყურებლისკენ მუქარით

მიემართება, სცენას რამდენჯერმე შემოუვლის, ნაგებობის წინ ჩერდება, მაკრატელს ჰორიზონტალურად იჭერს, მჭრელი პირით მაყურებლისკენ.

მედეა

(მრისხანე მუქარით)
ჟამთააღმწერელთა კალმისტრით აღუწერელ მრისხანებას ვგრძნობ, ზეცას გავაპობ ერთი თქვენგანიც თუ გაბედავს, რომ სული კვლავ შემიხუთოს. ჩვენ, გულთმისანები, შემოქმედის მიერ დასმულნი, მიზნად დასახულ, სამყაროს მარად გამხატვრულებას უღლად ვატარებთ, თქვენს მაგიერად ვხოცავთ მამებს, ძმებსა და შვილებს და ცოლად ვირთავთ საკუთარ დედებს, რომ შეგახსენოთ ამ ყოველივეს წყევლა მოჰყვება. როცა ხმას ვიღებთ, დასაბამიდან ვაღვიძებთ თქვენში სრულყოფის განცდას, როცა ვჩუმდებით, თვითგადარჩენის აუტანლობა გიზარავთ ყოფას.
გიხელდით თვალებს, რათა გაგეძღოთ ფათერაკი ფრინველთა ფრენით, მზერას გჩუქნიდით, რათა დაევსო მრისხანება ნადირთა ყმუილს. მაგრამ გზისპირელს, თქვენით მოვლენილს, არ დავდებთ პატივს, რომ მივუტევოთ და დავივიწყოთ ღვაწლმოსილი სირცხვილი მისი.
დროა დაგტოვოთ, რათა სიზმარი ვიქციოთ ცხადად.
გულთმისანებო, დროა გაანდოთ გზისპირელის ჯერაც უთქმელი საიდუმლო დამაშვრალ ყურებს!
პატრიარქატის გაუმაძღარი სილუეტით დანამშვენები მუხის უღელი, გადადებული მატრიარქატის გაყვლეფილ მხრებზე, ნაყოფად რკოა, შეხედვად ქველი, საკვებად უქმი.
გულთმისანებო, დღეს გავიმთელოთ ტყავგადასული ლეღვი კისრები, რქების დადგომა ვიკმაროთ ვალად, მოზვერის სევდა ვიკურთხოთ მადლად.
გულთმისანებო, გაუმხელელი საიდუმლოს გამხელის დროაა!

მშვინვიელი მძაფრ მელოდიას აგრესიულით ანაცვლებს, მედეა მაკრატელს ვერტიკალურად იატაკში არჭობს მარცხენა ხელით, მარჯვენას კი მის მუცელზე გამობმულ ერთ-ერთ ჭიპლარს ჰკიდებს და ძლიერად ქაჩავს. ოიდიპოსი ნაგებობაზე შებორძიკდება, სცენაზე ჩამოვარდება, წამოდგება და წინ გამოვა, სცენის კიდის გასწვრივ მხატვრულად მოდის.

ოიდიპოსი

(ბრაზით)
გზისპირეი ძლევამოსილ მხედრიონებს თვალბრიალით განაგებდა, ხოლო როცა ხმას იღებდა, მრისხანება ღრუბლებს ქშენდა, მუსტანგ ცხენებს ერთი დარტყმით იმონებდა. მაშინ, როცა აღმოვცენდი, როცა ღაწვზე დაბადების ცრემლი შეშრა, თვალისმწველი ნათებიდან სილუეტად, სახლის ზღურბლზე გზისპირელი, მხედართმთავრად მომევლინა. მე ვიყავი პირველი ვინც, მისი მტევნის გემო სინჯა, მანამდე კი მხოლოდ ხილვა ხელის მანევრულობისა დიდად მაფორიაქებდა და სურვილებს მიღვიძებდა. მე მის მტევანს გემო მაშინ გავუსინჯე, როცა სწადდა ჩემი მოთვინიერება. დიდებისგან ბინდდაკრულმა სრულებითაც არ უწყოდა, რომ მე უკვე შინაური, კუნთმაგარი

ფაშატივით მისი ვიყავ, მუსტანგობა არა მსურდა. გზისპირელის პერანგის ქვეშ მომწყვდეული ფართე მხრები თავშესაფრად მიზიდავდა, მაგრამ მისი უმწეობა, ახლა ვხედავ არსებულა, რომ ვიაზრებ მის ფართე მხრებს, როგორც ურცხვად კუბო საზღვრავს.
ჩერდება და თავს ამაყად წევს.
(ბრაზნარევი სიამაყით)
პატრიარქატის გაუმაძღარი სილუეტით დანამშვენები მუხის უღელი, ნაყოფად რკოა, შეხედვად ქველი, საკვებად უქმი. დროოა, დროა, უღელი ჯოჯოხეთის ცეცხლს მსხვერპლად შევწიროთ და ქვეშაგებად სეტყვის ღრუბლები ზეცას მოვწყვიტოთ!

ოიდიპოსი დარბაზს ზურგს აქცევს, მედეა ტაშს რამდენჯერმე ძლიერად დაუკრავს.

მედეა

გაუმხელელი საიდუმლოს გამხელის დროა!

მედეა მეორე მუცელზე გამობმულ მეორე ჭიპლარს მოქაჩავს, ამჯერად იოკასტე წაბორძიკდება და სცენას შემოუვლის.

იოკასტე

(აღტაცებით)
გზისპირელი გალეონებს კაპიტნობდა, მისი აფრით მონაქარგი იალქანი ცას სწვდებოდა, მახსოვს აიზბერგის ხვეწნა, მის ხომალდს, რომ შეწყალებას აქადებდა, იმ ვეშაპის ზურგზე მწოლი მზის სხივებიც კარგად მახსოვს, ჩემთვის ტრფობის საზღაურად სიცოცხლეს, რომ გაასალმა.
მახსოვს დილა ოკეანის, გზისპირელის ხომალდი, რომ ნაპირს მოსდგა, იქ დაიწყო მღელვარება, რომლის დარიც ჯოჯოხეთს თუ ეხსომება, შარდის სუნიც ჩამებეჭდა, მამაჩემის ცხედარიდან ოხშივრად, რომ ადიოდა. მაშინ, როცა აღმოვცენდი, როცა ღაწვზე დაბადების ცრემლი დაშრა, თვალის მწველი ნათებიდან სილუეატად, სახლის ზღურბლზე გზისპირელი, ზღვისპირელად მომევლინა.
ამის შემდგომ, ტყვედ წამასხა და უბეზე დამიმონა, მა მათრობდა მისი ძალა, მისი ქშენა ჩემში მყოფად, მისი ჩექმით შემოსილი ნაბიჯების ხმოვანება. მაგრამ მისი უმწეობა ახლა ვხედავ არსებულა, რომ ვიაზრებ მის მწველ უბეს როგორ ურცხვად კუბო საზღვრავს.

იოკასტე ჩერდება და თავს ამაყად წევს.

იოკასტე

(აღტაცებული სიამაყით)
პატრიარქატის გაუმაძღარი სილუეტით დანამშვენები მუხის უღელი, ნაყოფად რკოა, შეხედვად ქველი, საკვებად უქმი. მაგრამ არ მშია, მე მარხვაზე ვარ!

მედეა განრისხდება და საზარლად შეუყვირებს, ოიდიპოსი ჩუმად ხითხითებს, მედეა ჭიპლარს მძლავრად მოქაჩავს, იოკასტე სცენის შუაგულში მოწყვეტით დაეცემა, გონს მოეგება, ოთხზე დადგება და დარბაზისკენ გაქცევას შეეცდება.

მედეა

(ყვირილით)
მოდი ააქ! მოდი შე საქონელო! სეირს გიჩვენებ! მოდი მეთქიი!

მედეა ჭიპლარს ორივე ხელით ქაჩავს, იოკასტეს თავისკენ მიაგორებს, ეს უკანასკნელი ვერ უმკლავდება, გაქცევას ცდილობს თუმცა უშედეგოდ, მედეა ქეჩოში სწვდება, წხვირწინ პერპენდიკულარულად, ზურგზე აწვენს, ორივე ხელით მაკრატელს იმარჯვებს ვერტიკალურად და იოკასტეს ორივე საჭრელი პირის ქვეშ ამწყვდევს.

მედეა

(მუქარით)
აბა, უგუნურო იოკასტე, მზად ხარ თუ არა წელში გაგწყვიტო?! როგორ გგონია შენა ხარ მხოლოდ ერთგულება რომ ხელეწიფება?! გგონია რომ ჩვენ უუნარობით ვიჭრით ჭიპლარებს?! საქონელი ხარ და ზანზალაკი გაკლია მხოლოდ! მეწველო ძროხავ, აღარ გაბედო ამპარტავნება! ახლავე თქვი, რაც გულით გვწადია, თორემ ხომ იცი, მაყურებელთა ფათერაკის გაძღობაზე, რომ ხელი ავიღე. აღარ მადარდებს თვითმხილველთა განცდების დევნა, ორად გაგაპობ, სისხლით მოვრწყავს სცენის იატაკს, თუნდაც ჩვილები ესწრებოდნენ ჩვენს წარმოდგენას!

მედეა მაკრატელის ბასრ მხარეს იოკასტეს წელს ახებს, იოკასტე ხელებს იატაკს აყრდნობს და თავს წამოწევს.

იოკასტე

(შიშნარევი კანკალით)
პატრიარქატის გაუმაძღარი სილუეტით დანამშვენები მუხის უღელი, ნაყოფად რკოა, შეხედვად ქველი, საკვებად უქმი. დროა კალთებში სიო შევბეროთ და სიმძიმილით ამპარტავნებულ ქანცის თიაქარს შვება მოვგვაროთ!

მედეა კმაყოფილებით მოაშორებს ბასრ პირს იოკასტეს წელს და მაკრატელს წინარე პოზაში დააბრუნებს, იოკასტეს ქეჩოში ხელით სწვდება, აყენებს, უბიძგებს, იოკასტე შიშისგან იბუზება, ხელებს ასავსაბს, სცენაზე დგება და დარბაზს ზურგს აქცევს.

მედეა

(ნიშნის მოგებით)
წალასლასდი საქონელო, მეწველო ძროხავ, ტაშს ვერ მიიღებ და დაიხსომე, არ დავივიწყებთ შენს უკმეხობას!

მედეა ჭიპლარს კიდევ ერთხელ მოქაჩავს, დარბაზისაგან ზურგით მდგარი ოიდიპოსი შეტრიალდება, სახეზე მწუხარება აწერია, თითქოს სხვა ადამიანია.

მედეა

აბა ოიდიპოს, გაუმხელელი საიდუმლოს გამხელის დროა!

ოიდიპოსი

(მწუხარებით)
გზისპირელი ბუღალტერია, დავთრიანი და მარად მχდომარე. დღითა თუ ღამით საშოვარზეა, რა ქნას ქირა აქვს, ვალებიც მოსდევს და შინით მოსულს, ენაჩავარდნილს ბუასილი თუ გაახმოვანებს. მე მომლოდინედ ვუზივარ სახლში, თუმცა ვიცი, რომ ისევ არ მოვა, ვხედავ მის მზერას რიცხვიდან რიცხვზე, ოფისის ფარდას ამოფარებულ ნახევარმთვარეს. ვგრძნობ მწუხარებას გულით ატარებს, უსუსურობას ფარავს სათვალით და ამიტომაც ეს უმწეობა ეჭვის დარია მხოლოდ ჩემს თავში.
მაშინ როცა აღმოვცენდი, როცა ღაწვზდე დაბადების ცრემლი შეშრა, თავლისმწველი ნათებიდან, სილუეტად, სახლის ზღურბლე გზისპირელი, დავთრიანად მომევლინა. ხელი მთხოვა, გავუწოდე, ტილოს ჩვარი მომაწოდა და ტუფლები გავუწმინდე სამსახურში წასასვლელად. მაგრამ მისი უმწეობა, ახლა ვხედავ, არსებულა, რომ ვიაზრებს მის შავ თასმებს როგორც ურცხვად კუბო საზღვრავს!

ოიდიპოსი ჩერდება და თავს ქინდრავს, მედეა მუქარის მზერას ზურგში ესვრის.

მედეა

(მუქარით)
დაფიქრდი სანამ ერთგულებაზე სიტყვა დაგცდება, ძაღლიშვილო!

ოიდიპოსი მედეას გახედავს, თავს დარბაზისკენ აბრუნებს, მოჩვენებითი სიამაყით გაიმართება.

ოიდიპოსი

(მწუხარედ)
პატრიარქატის გაუმაძღარი სილუეტით დანამშვენები მუხის უღელი, ნაყოფად რკოა, შეხედვად ქველი, საკვებად უქმი. დროა ნატვრები მზის შუქს ვაჩვენოთ და ჩრდილში დგომა მთვარეს მოვტაცოთ!

მედეა ტაშს კვლავ ძლიერად დაუკრავს, იოკასტეს გახედავს, თვალებს დაუბრიალებს და ისიც ძალდატანებით შემოსცხობს ხელს. ოიდიპოსი მხრებში მოიბუზება და დარბაზს კვლავ ზურგს შეაქცევს. მედეა ჭიპლარს კიდევ მოქაჩავს, იოკასტე შებორძიკდება და დარბაზისკენ შეტრიალდება, ისიც თითქოს სხვა ადამიანად იქცაო სახეზე არაადეკვატური მხიარულება აწერია.

მედეა

გაუმხელელი საიდუმლოს გამხელის დროა, იოკასტე!

იოკასტე

(მხიარულად)
გზისპირელი მრბოლელია, ტყავის სალონი ამშვენებს მის მღელვარე წითელ მუსტანგს, ბორბალთმხვრელი, 1001 ცხენის ძალით და რეზინის ნამწვისაგან ადენილი მისი კვამლი, ნისლის მსგავსი ბინდბუნდია, თვალთან ერთად გონებასაც ისე უმალ დაგიბინდავს, დამთქნარებას ვერ მოასწრებ, თვალს დახუჭავ, გაახელ და მგზავრის სკამზე გაიღვიძებ, აა-ჰა-ჰა-ჰა. მაშინ, როცა აღმოვცენდი, როცა ღაწვზე დაბადების ცრემლი დაშრა, თვაისმწველი ნათებიდან სილუეტად, სახლის ზღურბლზე გზისპირელი, ბორბალთმხვრელად მომევლინა. მანქანიდან ჩემს თეძოებს თვალი ჰკიდა, შემდეგ ხელი, უაღვირო მკლავის მოსმით სავარძელზე მიმაჯაჭვა, გაიდორბლა, ჩემი თავი იღლიაში მოიტანა, განიშარვლა და საშოში 1001 ცხენის ძალით სარცხვინველი შემილაგა. მაგრამ მისი უმწეობა ახლა ვხედავ არსებულა, რომ ვიაზრებ მის იღლიას როგორ ურცხვად კუბო საზღვრავს! აა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა..

იოკასტე ამაყად წევს თავს მაღლა და მკაფიოდ მიმართავს დარბაზს.

იოკასტე

(ამაყი მხიარულებით)
პატრიარქატის გაუმაძღარი სილუეტით დანამშვენები მუხის უღელი, ნაყოფად რკოა, შეხედვად ქველი, საკვებად უქმი. დროა თავისუფლების დაუცხრომელი ჟინით ვისუნთქოთ და მორჩილება შვილად დავმარხოთ!

იოკასტე კვლავ ზურგს აქცევს დარბაზს, მედეა ტაშს მძლავრად შემოსცხობს, ოიდიპოსი ნაძალადევად აჰყვება, მედეა ჭიპლარს კიდევ მოქაჩავს, ოიდიპოსი დარბაზისკენ შეტრიალდება, ამჯერად ნიჰილიზმითაა მოცული მისი სახე.

მედეა

გაუმხელელი საიდუმლოს გამხელის დროა, ოიდიპოს!

ოიდიპოსი

(ძალდატანებით)
გზისპირელი ნახირშია, ბალახნარევ მინდორ-ველზე თხილის წკეპლა მარჯვედ დააქვს. ახლაც მესმის მისი ქება, იმ მეწველი კამეჩისა, მამამისი რომ მიაკლა სააღდგომო შესაწირად. უფლის მადლით მის რქოსანებს ზანზალაკი მუდამ ებათ, მეზობლების სიქველითაც დაკარგული სახლს აგნებდა. ვერ მოვყვები, მერიდება, გზისპირელის ღამის ხვევნას, ვერც მის ნაკვთებს გავიხსენებ, მზით მის დღეში არ მენახა. განთიადზე გადიოდა, მწუხრის ჟამი როცა დგება, შინ კი ბინდი მოუძღვოდა თაფლის სანთლის მადევარად.
მაშინ როცა აღმოვცენდი, როცა ღაწვზე დაბადების ცრემლი შეშრა, თვალისმწვეი

ნათებიდან სილუეტად სახლის ზღურბლზე, გზისპირელი, მენახირედ მომევლინა. თუმცა ახლა გასაჭირი აშკარაა უცხადესად, რადგან მისი უმწეობა, ახლა ვხედავ, არსებულა, რომ ვიაზრებ მის მარჯვენას როგორ ურცხვად კუბო საზღვრავს. პატრიარქატის გაუმაძღარი სილუეტით დანამშვენები მუხის უღელი, ნაყოფად რკოა, შეხედვად ქველი, საკვებად უქმი. დროა მშვენება ჩვენი არსების გადავიღეღოთ და უტიფრობა შუქურად ვიმცნოთ!

ოიდიპოსი დარბაზს კვლავ ზურგს აქცევს, მედეა ტაშკს დაუკრავს, ჭიპლარს კვლავ მოქაჩავს და იოკასტე დარბაზისკენ შეტრიალდება, სახე სინანულით აქვს სავსე.

მედეა

უკანასკნელი საიდუმლოს გამხელის დროა, იოკასტე!

იოკასტე

(სინანულით)
გზისპირელის ავანტიურა აჭაღარავებს ან ამელოტებს, მოთამაშე და გამომთვლელი მუდამ წუწუნებს, სულ დაღლილია თუმცა მუხლი არ ჩაუხრია და ტანსაცმელიც ხანაც თამბაქოს, ხანაც დასხმული ღვინის სუნად ყარს. სისხლით ავსილი შარდის ბუშტი კი ზოგჯერ ბუნების ძახილს ვერ ასწრებს. ჭუჭრუტანებით გარემოცული კედლების ჭერქვეშ დედაკაცობა თავად ვისურვე.
მაშინ როცა აღმოვცენდი, როცა ღაწვზე დაბადების ცრემლი შეშრა, თვალისმწველი ნათებიდან, სახლის ზღურბლზე გზისპირელი, გამომთვლელად მომევლინა! მაშინაც კი მეძავისგან გაქონილი მოდიოდა და მის საცვალს დედუქციად რუხი პომადა ეგლისა. რა ვქნა გვიან დაიბადა, გულადობა არ დასცალდა, მაგრამ მისი უმწეობა, ახლა ვხედავ, არსებულა, რომ ვიაზრებ მის ცალ წინდას როგორ ურცხვად კუბო საზღვრავს!

იოკასტე სინანულით გახედავს მედეას.

მედეა

(მუქარით)
თუ მზრუნველობის შექება გინდა სჯობს რომ გაჩუმდე!

იოკასტე დარბაზს მიმართავს.

იოკასტე

(მერყევი სიამაყით)
პატრიარქატის გაუმაძღარი სილუეტით დანამშვენები მუხის უღელი, ნაყოფად რკოა, შეხედვად ქველი, საკვებად უქმი. დროა სარკეში რომ ჩავიხედოთ და უსასრულოდ, ქვეშევრდომობა ქარს გავატანოთ!

მშვინვიელი დაკვრას წყვეტს, კლავიშებს აფარებს, თავს ფორტეპიანოზე დებს და იძინებს. მედეა ტაშის ცემას დაიწყებს, გაშეტებითა და თავდავიწყებით ურტყამს ხელებს

ერთმანეთს, იოკასტე და ოიდიოპის აჰყვებიან. მედეა გულს, რომ იჯერებეს ხელებს განზე გასწევს სანიშნოდ, რომ საკმარისია.

მედეა

(ამაყად, ხმამაღლა)
მორჩა, სიცოცხლე მუდამ მალვაში, შიშის და ბრალის ფუჭ ეპოქაში, გზა დავიკარგოთ, გუმანს მივენდოთ. გზადაკარგულებს, გიდად შემოგვხვდეს გმირად შობილი თავისუფლება. წინამძღოლობით, მრავლის ჩურჩულით, რომ გაგვიკაფოს ბილიკი ხიდად, ვრცელი ნაპირისის გულთმისნობიდან, ღამენათევი სიზმრების პირად. სიზმარმხილველნი ვიყავით ოდეს, მთვარის გულისთქმას ვაჟღარუნებდით ნისლნარევ ტყეში. ჩვენი ფიქრების მარდი სწორება ედარებოდა მომავლის მარხილს. მარაზმს და მირაჟს ყოფიერება აჩნდა ნასახად, კორიანტელად გაბნეული კი, ჩვენი თქმულება ყურადსაღებად ინასკვებოდა. ახლა აწმყოში, უყლორტო ბაღში, ჩვენი ბაგიდან დარხეულ სიტყვებს, ისევ ისმენენ, თუმც არ იგებენ. თვალის ცეცება მემატიანედ გადაჰქცევიათ და ჰორიზონის უსაზღვრობა სასოწარკვეთად დაყვედრებიათ. ამიტომ დროოა, გულთმისანებო!

მედეა მხართან ვერტიკალურად განთავსებულ მაკრატელს სახელურში ორივე ხელით სწვდება, მოწყვეტით იჩოქებს, მაკრატელს აღმართავს, უკან იხრება და ორივე ჭიპლარს მჭრელი პირის ქვეშ აქცევს.

მედეა

(შემზარავი ყვირილით)
დროა, უღელი მსხვერპლად შევწიროთ, გადავასახლოთ უქმი თვალები, დაბრმავებულნი და ეჭვნარევნი. დაე უხედოდ მიტოვებულნი ოცნებას ეცნენ და დაიბანჯგვლონ. ვფიცავ გულისთქმას, დიდხანს ტირიფის ქვეშ გამომწყვდეულს, რომ ამაყი ვარ და უგზოუკვლოდ გამიხარდება, როცა ფსკერიდან მკვარე მორევი ამოგვაფრთხებს!
ჰაარეეეე!

მედეა გაავებული სახით ერთბაშად კრავს მარკატლის სახელურს, ჭიპლარებს ჭრის, გადაჭრისთანავე გმინავს, მაკრატელს იშორებს, იატაკს მარცხენა ხელით მოწყვეტით ეყრდნობა, მარჯვენა ხელს მუცელზე იკიდებს. ამასობაში იოკასტე და ოიდიპოსი ყურისწამღებად იწყებენ კივილს, ადგილზე იმანჭებიან, აშკარაა, რომ ჭიპლარების გადაჭრის შემდეგ შავი მოსასხამები კანს უწვავთ, ნელ-ნელა ძირს ვარდებიან, უღონოდ წვებიან, ადგილზე იხვევიან და იკლაკნებიან, მათი კივილი გმინვად იქცევა.
მედეა ხელებს მოსასხამის სამკლაურებიდან მოსასხამში აძვრენს, ერთბაშად ცდილობს გახდას შიგნიდან, შუაზე ხევს, (ქვეშ წითელი კაბა სცმია) მაგრამ მის ზურგზე გამობმული კუბოსთან დამაკავშირებელი თოკის გამო მოსასხამი წელზე ეხვევა და უწვავს, ცდილობს თოკი მაკრატლით გადაჭრას მაგრამ ვერ სწვდება, ნებდება და მაჯებით იატაკს ეყრდნობა.

იოკასტე და ოიდიპოსი იატაკზე წვანან, ტკივილით იკლაკნებიან, ისინიც აძვრენენ ხელებს მოსასხამების შიგნით, ეთბაშად გაგლეჯენ და მოსასხამებიდან, როგორც ჰეპელა ჭუპრიდან ისე გამოძვრებიან. იოკასტეს თეთრი კაბა აცვია, ოიდიპოსი ლურჯ-მწვანეშია შემოსილი.

მედეა

(მწარედ)
აი, როგორც იქნა გავთავისუფლდით, აწ გამოვლილი გარდაცვალების ათასწლეული უკვე წამია, მე ჩემს ანარეკლს თქვენს მომლოდინე თვალებში ვხედავ და ანარეკლში სიხარულს ვამჩნევ. თუმცა ვიშვიში ჯერ კიდევაც ვერ მოვიშალე, გზისპირელია ამის მიზეზი. დიდად ვამაყობ, რომ კალთისაგან ეგ ჭიპლარები გამოვიხსენი, მაგრამ ვაი, რომ უწინდებურად კვლავ კუბოზე ვარ გამოკიდული. ნეტავ შეგეძლოთ, რომ ჩემი მზერით თქვენს ლამაზ თავებს წამით შეხედოთ.

მედეა ხელს ყელზე ისვამს, თავბრუდასხმული თავს შეწუხებით მიატრიალებს.

მედეა

(დამღლელად)
უკიდეგანობის წყურვილისაგან ყელი დამიშრა, თვითგამოხატვის გამოღვიძებულ მოთხოვნილებას ძარღვები მსხვერპლად ეწირებიან. მანდალაში ვარ, ხოლო ფსიქეა უორობოროსის მდგრადობისა და მუდმივობის მუდამ კვამლიან ცეცხლს აგიზგიზებს. გარდუვალობა ყორღანებს შორის ჩამარხულ ნატვრას დამიორსულებს. აბა, ძვირფასო გულთმისანებო, გითმობთ მაკრატელს, ჭიპლარის რისხვას, ერთხმად, ერთმუშტად, გთხოვთ მოიმარჯვეთ, გამომასალმეთ მონისებრ ყოფას!

ოიდიპოსი ენით ხელის მტევანს ილოკავს, იოკასტე ჰირს აცმაცუნებს და მზერა დარბაზზე გაჰყინვია, მედეა ვერ ამჩნევს, რომ ყურს არ უგდებენ.

მედეა

(ომახიანად)
გულთმისანებო, ჰარე, დამხსენით, ჩქარა ვერ ვითმენ უღელის ახსნას!

მედეა ამჩნევს ოიდიპოსისა და იოკასტეს უყურადღებობას, თავს წინ წევს და მოუთმენლად ავლებს მზერას.

მედეა

(მუქარით)
თქვენ რა არ გესმით?! ჩქარა! აქ მოდით მაკრატლით ხელში, სანამ შევცვალე ტონი და ტემბრი და ჩავანაცვლე თხოვნა, მოთხოვნით!

მედეა ოიდიპოსისკენ გადაიხრება და ხელს მხარზე მოჰკიდებს.

მედეა

(აღტაცებით)
ოიდიპოს, შენ ხომ იცი, რომ ბედისწერის შემობრუნების ძვირ საზღაურად, მე წელი ჯერაც ვიშვიშით მეწვის! ოთხზე დადექი და მაკრატელი შემომიღერე!

მედეა ოიდიპოსს მხარზე მოქაჩავს, ოიდიპოსი ხელს პირიდან გამოიღებს და მედეას შეუღრენს.

ოიდიპოსი

ღრრრ, ვაფ!

ელდანაკრავი მედეა უკან გახტება, ოიდიპოსი კვლავ ხელის ლოკვას დაიწყებს.

მედეა

(შიშნარევი ბრაზით)
ახია ჩემზე, რომ ჯერ კიდევ შენი გონიერების იმედი შემომრჩენია და საშველად მოგმართავ, მომწყდი ძაღლიშვილო!

მედეა ცდილობს გამოერკვას რა ხდება, გაავებულ სახეს დარბაზისკენ ატრიალებს, კბილებს აღჭრიალებს, თავის სწრაფი დაქნევით მაყურებელს შეუღრენს, იოკასტესკენ უცბად ტრიალდება, ორ ნაბიჯში მასთან ჩნდება და გამეტებით უწყებს ცემას.

მედეა

(დაუცხრომელი, მრისხანებით სავსე ყვირილით)
იოკასტე, ცხადად ვხედავ შენ გამწირე, აღიარე საქონელო შენს მაღალ ღმერთს რა შესთხოვე?! თუ ეშმაკთან გარიგებით შეულოცე ოიდიპოსს?! მორჩი! ნუღარ იკატუნებ მაგ ლაყე თავს სავსეს ლოცვით! ჩქარა, ვიცი, რომ საღი ხარ, არც ისეთი მარტივია შენი გონის მიძინება, როგორც ყველას გვაჯერებდი! შურისგება მომინდომე?! აბა ვნახოთ, რა მოხდება, როცა წერას აგისრულებ, მაკრატლის ქვეშ მოგიყოლებ და ამჯერად მართლა ორად წელში გაგწყვეტ!

მედეა იოკასტეს ცემას წყვეტს, იოკასტე მუცელზე წევს, ფეხები მუცელ ქვეშ აქვს შეკეცილი, წამოდგომას იწყებს, ჯერ ტანს წევს ხელებით, მზერას აშტერებს, ცოხვნას იწყებს, შიგადაშიგ ენას ყოფს და ტუჩებზე წრიულად ისვამს.
ამასობაში მედეა მაკრატელთან მიდის გამხეცებული სწრაფი ნაბიჯით, მრისხანებისგან ღმუის, სახელურს ორივე ხელით სწვდება, იოკასტესთან ბრუნდება, მისი დანახვისას ტანში შეფარული სიხარული გაუკრთება და მაკრატელს მუცლის გასწვრივ ჰორიზონტალურად დაიკავებს.

მედეა

(სიხარულნარევი ნიშნის მოგებით)
რაო, იოკასტე, გონს ეგები?! ვიცოდი, ვიცოდი, რომ შენ იყავი ჩვენი ნების მარცხვენალი! იცოდე, რომ არ გიშველის არც ლოცვა და არც ვედრება, აყალ-მაყალს, რომ ტეხავდი, რა გეგონა შეგარჩენდი?! არ ვაპირებ, კიდევ ერთხელ უსასყიდლოდ შეგიბრალო! აბა ჩქარა, შენი შვილიც გონს მოაგე თუ გინდა, რომ არ გაგხლიჩო!

მედეა მაკრატელს აღაჰყრობს, იოკასტეს მუქარით მოუღერებს, ისე რომ მისი წელი, ერთი ხელის მოსმით გაწყვიტოს, იოკასტე მოღერებული მაკრატლის დანახვისას, თავს ინსტინქტურად აქნევს, ფეხებით უკანა ტანს ერთბაშად წევს, ოთხზე დგება და წინ იხრება.

იოკასტე

(შიშნარევი ძალდატანებით)
მმმუუუუუუუ!..

იოკასტე მოწყვეტით ეძგერება მედეას, ამოუტევს, გაფითრებული მედეა შეჰკივლებს, მაკრატელი ხელიდან გაუვარდება, ძირს დაეცემა, იოკასტე ხელ-ფეხით სდგება ზედ, ქვეშ ითრევს, გაქცევას ცდილობს, ქვეშ მოქცეულ მედეას თელავს, თან მიათრევს, ერთხანს ახოხიალებს და მოშორდება.
მედეა ტკივილისგან გონწართმეული ადგილზე ბორგავს, ადგომას ცდილობს, მაგრამ ყოველი მცდელობის შემდეგ უღონოდ ეცემა სახით იატაკს.
იოკასტე სცენის კიდისკენ თავაწეული მიემართება, ძროხის მსგავსი მედიდური სიდინჯით დგამს ნაბიჯებს, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას თავს აქეთ-იქით არწევს, სცენის კიდესთან ჩერდება და დარბაზს მიმართავს.

იოკასტე

(ომახიანად)
მმმუუუუუუუუუუუუუუუუუუუ!

იოკასტე მონოლოგის დასრულებისთანავე, სცენის კიდეზე, გარდიგარდმო ბოლთის ცემას იწყებს, თითქოს ჰოდიუმზეა, თავი ყოველთვის დარბაზისკენ აქვს, კვლავ მედიდური სიდინჯით დაიარება, შიგადაშიგ ენას ყოფს, ტუჩებს ინამავს და ღმუის. მედეა ამასობაში ღონეს მოიკრებს, ძირს მჯდარ ოიდიპოსთან მიხოხდება, ჰერანგზე მოქაჩავს, ოიდიპოსი ღრენას იწყებს და მედეასკენ სწრაფად ბრუნდება, შეტევას აპირებს, მაგრამ მის დანახვაზე კვლავ ძირს ჯდება ენას გარეთ აგდებს და ენაგადმოგდებული ქშენას იწყებს, შიგადაშიგ ნერწყვს ყლაპავს.

მედეა

(მწარედ)
იოკასტე, ოიდიპოს!

ოიდიპოსი ქშენით გახედავს იოკასტეს, ადგილიდან სწრაფად მოწყდება, ოთხით მიირბენს იოკასტეს ახლოს და ოთხზე შემდგარი შეუღრენს.

ოიდიპოსი

(ომახიანად)
ვაფ, ვაფ, ვაფ, ვაფ, ვაფ!..

სცენის კიდეზე მოსეირნე იოკასტე ჩერდება, ოიდიპოსს სასხვათაშორისოდ გადახედავს და კისერს გაბზეკს.

იოკასტე

(ძალდატანებით)
მმმუუუუუ!

ოიდიპოსი შინდება, ყეფას წყვეტს, უკან წკნავილით იხევს, ფეხებმორთხმული ძირს ებერტყება, კვლავ ქოშინს იწყებს, იოკასტე პოდიუმზე სეირნობას განაგრძობს, ოიდიპოსი ზურგსუკან ფორტეპიანოზე მძინარ მშვინვიელს გახედავს და მასთან მიირბენს.

ოიდიპოსი

(მოზომილად)
ვაფ, ვაფ!

მშვინვიელი იღვიძებს, თავს წევს, ხელებ აწვდილი იზმორება, ოიდიპოსს უყურებს, უღიმის, იდაყვებს ფორტეპიანოზე დებს და ნიკაპს მუშტებზე აყრდნობს.

მშვინვიელი

(სიყვარულით)
გამარჯობა, ოიდიპოს, მანდ რას წამოსკუპებულხარ?

ოიდიპოსი

ვაფ, ვაფ!

მშვინვიელი

(სიცილით)
ქოფაკივით რატო მიყეფ, ჭკუა ხომ არ დაგიკარგავს?

ოიდიპოსი

ვაფ, ვაფ!

იოკასტე

(თავისთვის)
მმმუუუუ!

მშვინვიელი სწრაფად მიატრიალებს თავს სცენისაკენ, ღიმილი სახეზე შეახმება, იოკასტესკენ დაიძრება.

მშვინვიელი

(ალერსით, სევდიანად)
ვაჰ, იოკასტე, ეს რა ჭირი დაგმართნიათ. ნუთუ უნდა ვირწმუნო, რომ შენ და ოიდიპოსმა ჩემს მოგონებებად ცხოვრებაზე ხელი აიღეთ? კი, მაგრამ რაიმე თუ განაღვლებდათ ჩემთან რატომ არ მოხვედით? ასე უცბად და უჩუმრა ვითომ რატომ გაცხოველდით? ან მედეა სად წავიდა?

მედეა

(მწარედ ხმის კანკალით)
მშვინვიელო, აქა ვარ, მშვინვიელო..

მშვინვიელი ზურგსუკან, ტკივილისაგან გართხმულ მედეას გახედავს, რომელსაც თავი გაჭირვებით წამოუწევია.

მედეა

ვკვდები, მშვინვიელო!

მშვინვიელი სწრაფად მიიჭრება მედეასთან, წამოჯდომაში დაეხმარება, მკერდში ჩაიკრავს, თვალს მის ჭიპლარს შეავლებს კუბოზე გამობმულს, ხელს მოჰკიდებს, მაღლა ასწევს, აწევისთანავე მედას სიმწრის კივილი აღმოხდება და გონს მშვინვიელის მკერდზე დაკარგავს.

მშვინვიელი

(მწუხარედ)
ჩემო მედეა, ამაყო და თავგასულო, ეს რა დღეში ჩავარდნილხარ?! ოიდიპოს, ჩქარა მოდი, დაიძინე და მედეას სულის სარდაფიდან კოშმარები გამოდევნე!

ოიდიპოსი ოთხით მიირბენს მათთან, მედეასთან წამოწვება, თავს ხელებზე დაიდებს და ჩათვლემს.

მშვინვიელი

(სევდიანად)
მედეა, ჩემი ჭაღარით მოვლენილო, ათასწლეუთა მემატიანევ, ერთადერთი ხარ, ვინც თავის წარსულს თავადვე თხზავდა, ნისლნარევ ბაღში მომავლის კვალად. უფლის დარი სამებითაა შენი მხრები დამშვენებული, ასე უღონოდ რომ მომწყვდეულან ამ ჩემი მკერდის კარ-მიდამოში. ნუთუ ეს წამი უკანასკნელად შენს ამოსუნთქვად ჩემღვენთება.

ვიცი, რომ მისმენ, ახლა ოიდიპოსი შენის ფსიქეს ღრმა სარდაფშია, კვლავ ძველებურად აღტაცებული, ჭიპლარით გებმის, მშვიდად გაყევი, ნუ გეშინია. აგურით მორთულ ლაბირინთში, რომ გზაკვალს გაიგნებს თავი დახარე, ჭერს არ მიარტყა. დაყუდებული მონასტრის გუმბათზე გახვალთ, კიდესთან მიდი და მოარულ მრევლს თვალი მოავლე, ოიდიპოსიც მაგ კიდეზეა, ამრეზით გიცქერს, შენც ძველებური თავგასულობით თვალი შეავლე. ოიდიპოსი გამომწვევად შეგიკუნტრუშებს და გადახტება, მიწაზე სახით დასანარცხებლად. გამბედაობა აქ არ გჭირდება, რადგან ჭიპლარი თავად იკისრებს თვითმკვლელობის ვალს და გუმბათიდან გადაეშვები.

ოიდიპოსი უცხბად ოთხზე ყეფით წამოხტება.

ოიდიპოსი

(ბნედით)
ვაااااااფ!

მედეა პირით ერთბაშად ჩაისუნთქავს, თვალებდაჭყეტილი, ელდანაცემი წამოხტომას შეეცდება, მშვინვიელი გააკავებს და დაამშვიდებს.

მედეა

(აგონიით)
ვერ შევძელი, მშვინვიელო, შენი როლი მოვინდომე, გზისპირელთან კავშირი, რომ გამეწყვიტა. ბევრი ვცადე, მაგრამ თავი დავიღუპე, იოკასტე და ოიდიპოსიც მე შევაცდინე. გაცხოველდნენ, იერსახე მიმოფანტეს, რჩევას აღარ დამეკითხნენ, უნებლიედ გადიდგულდნენ! არ აღმოვჩნდი შენი დარი, სიამაყემ შემაცდინა და დავმარცხდი!

მშვინვიელი

ნუ დარდობ, მედეა, შენ ხომ ჩემზე უკეთ უწყი, რომ ჟამთააღმწერელის კალმისტარით დაწერილი მოგონება უკვე მოხდა, მაგრამ ჯერ არ განგვიცდია. დაიბრუნებ სიამაყეს, ხოლო ჩემი გამარჯვების საპირწონედ დაეხსნები გზისპირელის ქადაგებებს.

მედეა მშვინვიელს შიშით ახედავს და წამოჯდომას შეეცდება.

მედეა

(შეშფოთებით)
უკვე გაიღვიძა?

მშვინვიელი

(ნაღვლიანად)
ჯერ არა, ჯერ თვითონაც ჯვარზე სძინავს, არ იღელვო, მანამ სანამ გაიღვიძებს მწველ ჭრილობებს მოგიშუშებ, ჭიპლარი რომ გადაგიჭრა.

დარაჯი

ხრრრ, ხრრრ, ხრრრ..

მედეა, ოიდიპოსი და მშვინვიელი ერთდროულად, ნელა ახედავენ ნაგებობას, რომლის მესამე სართულზეც ჯვარზე გაცმული დარაჯი ხვრინავს.

ოიდიპოსი

ღრრრ..

მშვინვიელი

(თხოვნით)
მორჩი ღრენას, ოიდიპოს, დარაჯი არ გააღვიძო, არ გაბედო დაყეფება!

ოიდიპოსი

ღრრრრრ..

მშვინვიელი

მორჩი მეთქი, ძაღლიშვილო!

მედეა

(უიმედოდ)
აზრი არ აქვს, მშვინვიელო, დარაჯის ხვრინვა გამძვინვარდება და ოიდიპოსს გონს დაუბინდავს. სადაცაა დაიყეფებს, იოკასტესაც აიყოლიებს და გააღვიძებს! მშვინვიელო, მგონი დროა, რომ ჭიპლარი გადამიჭრა!

მშვინვიელი

(ბრაზით)
დანებება არ გაბედო, მედეა, ჭიპლარი, რომ გადაგიჭრა მეხსიერებას დაკარგავ, გულთმისნების შეთანხმებულ ისტორიას თან წაიღებ. ძველებურად დარაჯს თავი ვეფხვად უნდა მოაჩვენო. კიდევ ერთხელ გაბედე და ითამაშე ჩემი როლი, გზისპირელი შეცდება და მშვინვიელი ეგონები. სარცხვინველით მოგადგება, არ უარყო, საპირწონედ როგორც ადრე ჭიპლარი და მაკრატელი გაუწოდე. დანებდი, რომ ცხარე თესლით ჭრილობები მოგიშუშოს.

მედეა

(სინანულით)
მაგრამ ასე, კიდევ ერთხელ გიღალატებს მშვინვიელო, შენ ხომ იცი როგორ მიმძიმს შველა მას რომ უნდა ვთხოვო. განა თავად არ იყავი, მის გალავანს საძირკველი, რომ მოჰგლიჯე?

მშვინვიელი

(წყრომით)
არც ქოთანია ჩემი სამშობლო და არც თმისაგან დავბადებულვარ, განსხვავებით თქვენგან, გულთხმისანებო. როცა დარაჯის საწრთვნელი შოლტი რიგად ქოთნებში ადგილს გიჩენდათ, შიგ დამარხული თმის სიმებიდან ჩემი ჭაღარა შეგხვდა გამზრდელად. ახლა იკმარე ეს საამაყოდ და მაშინ როცა შევუდგები უკანასკნელი ოქტავის დაკვრას, შენ იქნები ვინც მხარს დამიმშვენებს ნისლნარევ ბაღში სიზმარმხილველად.

მედეა თანხმობის ნიშნად თავს ნაღვლიანად უკრავს, იატაკს აშტერდება, მუხლებზე გაჭირვებით დგება, მშვინვიელი წამოდგება, მედეას მხარზე ხელს დაადებს და დარბაზს გახედავს.

დარაჯი

(მძლავრად)
ხრრრ-ხრრრ-ხრრრ..

ოიდიპოსი

ღრრრრრრ, ვაფ! ვაფ!

იოკასტე

მმმმუუუუუუუ!

დარაჯს კვლავ სძინავს, ოიდიპოსის და იოკასტეს ყეფა-ღმული ვერ აღვიძებს, მშვინვიელს მოთმინება ეწურება, სცენის შუაგულისკენ სწრაფად მივა და დარაჯს ახედავს.

დარაჯი

ხრრრრ..

მშვინვიელი ბრაზდება, ფოლადის იასამანთან მიდის, ყვირილით ერთბაშად ანარცხებს ძირს და დარაჯს კიდევ ერთხელ ახედავს. შეშინებული ოიდიპოსი და იოკასტე ჩუმდებიან.

მშვინვიელი

(მრისხანედ, ყვირილით)
აღარ აპირებ გაღვიძებას?! დარაჯო, დრრროოოოაააა!

წამსვე დარაჯი ხვრინვას შეწყვეტს, ძალიან ღრმად მთელი ტანით ჩაისუნთქავს, მშვინვიელი მედეას გულში ჩაიკრავს და ნაგებობის მარჯვნივ მდგომ ოთკარიან დეკორაციაში შეიმალება.

დარაჯი აგრძელებს მთელი ტანით სუნთქვას, თავის წრიული დატრიალებით თვალებს გაახელს, მარჯვენა ხელს გაჭირვებით მოაძრობს ჯვარს, შემდეგ მარცხენას, ტანით წინ გადაიხრება, ორივე ხელის დახმარებით მოახერხებს ფეხების ჩამოხსნას და ნაბიჯს წინ წადგამს.

დარაჯი

(ომახიანად)
ბაღნარში ფოთოლი ჩამოვარდა.
დაბრძენებული ხეების ცისფერი სიზმრები გატეხილ ქვათა ამაო ქშენას მიაშტერდნენ.
კამკამა მდინარეები მედგრობას ვეღარ შეგუებოდნენ.
გაბოზებულმა, გამხდარმა იასამანმა დაბარდნა მშვენიერება.
უშემოდგომო ტოტთა სიყვითლემ გააძრო მაყურებელთა მოცარული ყურები.
მეძავის ქორწილი მოახლოვდა.
მედროვე ვარდები, კუჭავსილები აყვავდნენ გარდასულ დროთა უფერულ დღეში.
ჩრდილოეთიდან ბაღისკენ მომავალ უდაბურ ბილიკზე გამოჩნდა ლანდი, რომელსაც თან სდევს ატეხილ ქართა მგრგვინავი მდუმარება.

დარაჯი იხრება, ხელებით მესამე სართულის კიდეს ეყრდნობა, ოთხზე დგება, თავს წევს და დარბაზს აშტერდება.

დარაჯი

(ძაფვრით)
მგრგვინავი მდუმარების უკუნ სიბნელეში, შიშის მორევში, გაგულისებული მატრიარქატის ტყვეობაში სულს, რომ დაღაფავს. სიზმარმხილველნი ნუგეშს არ სცემენ, რადგან ისინი ჯალათებად შემოხვდებიან. ჟამთააღმწერლის კალმისტარი, სულ სხვანაირად დაასახიჩრებს მელნად მარგინალს და ვინაიდან არც კაბადონზე დამიძახებენ, მე მის საშველად გავემართები და კრინტსაც დავძრავ.

დარაჯი ნაგებობის კიდეზე დაყდნობილი თავს გადმოყოფს და მეორე სართულზე კუბოს ჩახედავს.

დარაჯი

(ყვირილით)
გაიღვიძე, გზისპირელოო!

მეორე სართულზე, გზისპირელი ერთბაშად გამოაღებს კუბოს სახურავს, დამოეკიდება, ღრმად ჩაისუნთქავს, ღონემიხდილი და ელდანაცემი კუბოს კიდეს ჩაებღაუჭება, გვერდულად მიწვედა და თავს ფიცარზე მიაყრდნობს.
კუბოს სახურავზე ჭიპლარით გამობმული მედეა ინერციით გადაქანდება სცენის იატაკზე და ძირს დაეცემა.

გზისპირელი

(აგონიით)
პატარა გოგო დამეკარგა მზისფერ პერანგა
ან ავლილი ან ჩავლილი ხომ არ გინახავთ?!
გზისპირელი გაჭირვებით სცილდება კუბოს, ნაბიჯს ნაგებობის კიდისკენ ბორძიკით დგამს, დარბაზს მომლიდინედ აშტერდება, აშკარაა, რომ რაც კი ძალა აქვს მონოლოგში ეხარჯება და სადაცაა დაეცემა.
მზისფერ პერანგს მორევისფერი თვალებით მოსავს,
დამკარგვია მჭერმეტყველი ხელი მისი მგოსანს.
შავნაბადა ფარფატელა, გიშრისთვალა ვნებებს,
თრთოლვით დასძენს კუთხე-კუნჭულ, ქალწულებრივ ბგერებს.
ცას შეჰხარის, მიწას გლოვობს, ყელს მოიღერს და მღერს,
მომრგვინავი მდუმარების კორიანტელ ქარებს.
მოსევდისფრო ზღვისოდენა ღამეს სულში იქსოვს,
ჰარმონისფერცისოდენა არეს მარეს დაქსოვს.
არეს მარეს მონატრების დაამწუხრებს მთვარე,
ფარფატელა მოლანდება, უტყვი ფრთანარნარე.
ფრთანარნარე ანგელოზის ურცხვი მომღიმება,
ყელმოღერილ ყულფს წააგავს მისი მონატრება.
წუხანდელღამ სურნელებას მისას შემოვევლე,
წარწყმედილღამ შემორჩენილ ნაკვალევზე განვვლე.
ფარფატელა ნაბიჯების უტყვი სიო მრთავდა,
განთიადდა უმისოდ და ცრემლი კვლავ არ კმარდა.
განთიადდა უმისობით, განთიადდა ცრემლად,
სურნელებამ, მონატრებამ სულშემაძრწუნებლად,
ახილათვალკოსმიურსახბაგტუჩყვრიმალებლად.
შეუხებელი განცდების ვნება დასთამაშდა,
თავმოყვარე კოცნა, ნატვრად, სიზმრად ამპარტავნდა.
შეუსისხლხორცმთელებელი სხეულებრიობა,
შეუსისხლხორცმთელებელი ბაგენშეხორცება,
შესისხლხორცებული უერთმანებით ვიხრჩვით,
ღამის ცისგან შეკერილი ყელშემოსახვევით.
შეუღლებულ ნაწნავითურთ ქარბორბალურ სიმებთ,
შევღაღადებ ძილღვიძილთურთ აგონიურ ზვირთებთ.
სულისშემძვრელობა მზისფრად, მთვარისეფურობით,
განთიადდა განთიადად, უგანთიადობით,
ამომფატრავსულგულსმისად ვხვდები უმისობით,
დავეხსნები, მივალ მასთან, ეულ განთიადით.

გზისპირელი უღონოდ შებორძიკდება, ნაგებობის მეორე სართულიდან პირველი სართულის ქუჩის ტროტუარზე ჩამოვარდება, იატაკზე უგონოდ გაერთხმება. გზისპირელის ვარდნით შეშინებული მედეა ადგილზე შეხტება, მაჯებით წელის გასწვრივ

იატაკს დაეყრდნობა და გზისპირელს ღელვით მიაშტერდება.
დარაჯი შესამე სართულიდან ფრთხილად გადმოხედავს სცენას, ნელ-ნელა დგება, თითქოს სხეულის სიმძიმეს ვერ ძრავს, დარბაზს აშტერდება და კიბით მეორე სართულზე ჩამოსვლას იწყებს.

დარაჯი

ქუჩის ტროტუარს მირინდებულ მოზვერსა სევდას,
ყურს არ დაუგდებს გზისპირელის ურჩი გოდება,
დააღმაფრენა გაედება ხიდად მომრევ დასს,
დასს მონატრების ბურუსს მოგვრის გულზე ლოდებად.
სიზმარმხილავის გზისპირელი ბინდბუნდის ჭიშკარს,
ოდეს შეაღებს - უმალ სატრფოს მორევის თვალებს,
სადაცა სძინავს მოზვერ სევდას, მოღრუბლულ ცისკარს -
აღარ ენდობა ნაბიჭვარი და გააწვალებს.
ამპარტავნებულ შურისგებას, სევდა მოზვერი,
გარს შემოავლებს მორცხვად მკლავებს, გარიჟრაჟდება,
ფარფატა მკერდში ვეება გულს, ვითა მოზვერი,
ეწვევა ბორგვა, ზვირთი ცრემლით დაორსულდება.
მაგრამ ბინდბუნდელ გზადაკარგულს, მოსულს გზისპირად,
ვერას შეაგნებს, ბურუსიდან გამოცრის უარს.
კვლავ დაღონდება, არ გაჰყვება ხრიოკს, მზისპირად,
და მიარინდებს მოზვერ სევდას ქუჩის ტროტუარს.

მედეა გზისპირელს აშტერდება, დარაჯი სცენაზე ჩამოდის და გზისპირელის გვერდით, სახით დარბაზისაკენ ჩერდება, ხელებს უბეზე იწყობს.

დარაჯი

(ინტერესით)
აქ რამ მოგიყვანა, გზისპირელო?

გზისპირელი

(მონოტონურად)
გარდავიცვალე.

დარაჯი

კარგად ვიცი რომ გარდაიცვალე. მითხარი როგორ!

გზისპირელი

შიდსმა მომიღო ბოლო.

დარაჯი

სად გარდაიცვალე?

გზისპირელი

გზაზე.

დარაჯი

ქვა-ღორღზე?

გზისპირელი

ტროტუარზე.

დარაჯი

წუხხარ?

გზისპირელი

არა.

დარაჯი

რატომ?

გზისპირელი

სიკვდილი სამწუხარო მხოლოდ ცხედრის ახლობლებისთვისაა.

დარაჯი

აა-ჰა-ჰაჰ. ერთხელაც იქნება და შემიწირავს შენისთანა უგზოუკვლოდ მოხეტიალეთა ჰეროიკული პოეზია. ტროტუარზე რას აკეთებდი?

გზისპირელი

მივდიოდი.

დარაჯი

სად?

გზისპირელი

არ ვიცი, უგზოუკვლოდ მივდიოდი, ფიქრებს მივუყვებოდი.

დარაჯი

ჰა-ჰა-ჰა, ნამდვილად შემიწირავთ. ფიქრებს რაზე?

გზისპირელი

სინანულზე.

დარაჯი

რას ნანობდი?

გზისპირელი

აუცილებელია, რომ გითხრა?

დარაჯი

(წყრომით)
მე ყველაფერი კარგად ვიცი, გზისპირელო, ხომ იცი, რომ ეს დაკითხვა მაყურებლებისთვისაა?

გზისპირელი

თავად ვინ ხარ?

დარაჯი

(ამაყად)
მე დარაჯი ვარ!

გზისპირელი ნელა აბრუნებს თავს დარაჯისაკენ, დარაჯიც საპასუხოდ ატრიალებს თავს, მათი მზერა გადაიკვეთება და კვლავ საპირისპიროდ გაიხედავენ.

გზისპირელი

სიცოცხლის მეგზური ვერ ვიპოვნე.

დარაჯი

(ნიშნის მოგებით)
ვერ იპოვნე?

გზისპირელი

ვერ შევინარჩუნე.

დარაჯი

ქალი?

გზისპირელი

ქალი.

დარაჯი

ლამაზი?

გზისპირელი

ლამაზი.

დარაჯი

ყველაზე ლამაზი?

გზისპირელი

ყველაზე ლამაზი, თუმცა მისთანები ბევრნი არიან.

დარაჯი

ეგ როგორ?

გზისპირელი

ყველაზე ლამაზი ქალი შვილმკვდარი დედაა.

დარაჯი უეცრად წინ მთელი ტანით გადაეშვება და სახით იატაკს გაერთხმება, ერთხანს სიჩუმეა. გზისპირელი არ ტოკდება.

დარაჯი

(ქილიკით)
ხომ გითხარი, შემიწირავთ მეთქი?! აა-ჰა-ჰა-ჰა.

დარაჯი გაბადრული სახით ცალ მუხლზე დგება, მკლავებით მეორე მუხლს ეყუდება, სიცილს ძალდატანებით იკავებს.

დარაჯი

(გამომცდელად)
რაიმე თუ გაინტერესებს, გზისპირელო?

გზისპირელი

მაინტერესებს.

დარაჯი

შეგიძლია მკითხო.

გზისპირელი

სად ვართ?

დარაჯი

(უკმაყოფილოდ)
ამქვეყნიურში! რამე უფრო ღირებული მკითხე!

გზისპირელი

რა არის კაცობრიობის ყველაზე დიდი მწუხარება?

დარაჯი

(ბრაზით)
ვინაც აწუხებს მშფოთვარებას იასამნისას, იგი თავს იძვრენს სიყვარულის უღელისაგან! ჯანდაბა, გზისპირელო, რაც მაგ ტროტუარს მიეფილაქნე მას შემდეგ მხოლოდ ერთი რამ გიღრღნის ჭკუას, ბოლოს და ბოლოს მკითხავ თუ არა?!

დარაჯი ბრაზით სწრაფად გახედავს, გზისპირელი თავს ნელა ატრიალებს მისკენ, მზერას შიშით უსწორებს.

გზისპირელი

(გაუბედავად)
ის.. აქ არის?

დარაჯი გაუღიმებს, წამოდგება, ხელებს კვლავ უბეზე დაიწყობს და დარბაზს გახედავს.

დარაჯი

(ომახიანად)
ადექი და ჩემთან მოდი, გზისპირელო!

გზისპირელი მოულოდნელად მკვირცხლად დგება და დარაჯთან დიდი ნაბიჯებით მიდის, დარაჯი მას ბეჭებზე ხელს ხვევს და სცენაზე წრის დარტყმას იწყებენ.

დარაჯი

(ამაყად)
ის აქ არის, მათ შორის! ერთდროულად ერთია და ყველა ერთად, შენზეა დამოკიდებული თუ რომელი მათგანი აღმოჩნდება საბოლოოდ.

დარაჯი და გზისპირელი მედეასთან ჩერდებიან.

გზისპირელი

(აღტაცებით)
ვინ არიან?

დარაჯი

(სევდანარევი სიამაყით)
ვეღარ სცნობ არა?! ეგენი ერთ დროს გულთმისანები, შენს ენაზე პერსონაჟები იყვნენ, ნაწარმოებად ყოფნას თავმომწონედ სჯერდებოდნენ. როდესაც უჰორიზონტო ძილს მივეცი თავი, მაყურებელთა ფათერაკის გაძღობა და მრისხანების დავსობა მათ დავაკისრე. მაგრამ გამოჩნდა მშვინვიელი, ნაწნავები მოიგლიჯა, პერსონაჟების მწირი ბიოგრაფიების უფსკრულზე საკუთარი მოგონებები ხიდად გადაალაჯა და გულთმისანები სიზმარმხილველებად გადააქცია.

გზისპირელი

(გაკვირვებით)
მშვინვიელი ვინღა არის?

დარაჯი

(სევდიანად)
ეჰ, წარმოდგენა არ მაქვს, გზისპირელო, მაგის გარკვევა შენ გევალება. რაც თავი მახსოვს ისიც აქაა. მხცოვანებით მე მიტოლდება ან უფროსია. შენისთანები ბევრნი მოსულან, არაერთი დანებებულა, დამარცხებით კი ყველა დამარცხდა. მეც სხვა რა გზა მაქვს. როცა ვიღვიძებ მშვინვიელი ხან ნიმფა მგონია, ხან დედოფალი, ხანაც თოლია.

დარაჯი გზისპირელს ხელს ბეჭებში არტყამს, ორივე გულიანად გადაიხარხარებს, დარაჯი შორდება, ნაგებობის მეორე სართულის კიდეზე ჯდება. გზისპირელი მედეას ჭრილობებს ამჩნევს და მასთან იცუცქება, დარაჯს გახედავს.

გზისპირელი

(დარდიანად)
დარაჯო, მგონი ეს ვეფხვი გასაჭირშია.

დარაჯი

(ძალდატანებით)
ეგ ვეფხვი, შენი დაა - მედეა.

გზისპირელი

(გაოგნებით)
მოიცა, და მყავს?

დარაჯი

გყავდა, გვამს ნათესაობა აღარ სჭირდება. მას შენთან აღარაფერი აკავშირებს ადგილსამყოფელის გარდა. მედეა ქვია, ამაყი და თავგასული, მშვინვიელის საყვარელი

მოგონებაა, ერთადერთია, ვინც დაუმდგარი წარსული იუკადრისა, მშვინვიელს თავი გაუტოლა და ჟამთააღმწერლის კალმისტარში მელანი დააშრო. თორემ შიდსის ნაცვლად შენივე და მოგიღებდა ბოლოს, მარგინალში ასე ეწერა, კაცის გულისთვის ნაკუწ-ნაკუწ აგჩეხავდა.

გზისპირელი

(დაბნეულად)
ჟამთააღმწერლის კალმისტარში მელანი დააშრო?

დარაჯი

(ეჭვიანად)
ჭამთააღმწერელი მთვარის ერთადერთი ბინადარია, მხცოვანებით აღმემატება, დღე-ნიადაგ ფარდით ნაშენებ, უჭერო ქოხში უზის პერგამენტს, ჯღაბნის და ჯღაბნის. შენი წინამორბედნი მიმტკიცებნენ, რომ მშვინვიელი მის მუზაა. დიდი ხნის წინ ჩემს გულთმისანებს საერთო განაჩენი გამოუტანა. მხოლოდ მედეასთვის შეიწუხა თავი და განსხვავებული წიგნი მიუძღვნა. ალბათ მშვინვიელი მართლა მისი შთაგონებაა.

გზისპირელი ჩაფიქრებული ქინდრავს თავს, მედეას ზურგზე ჭიპლარს ამჩნევს, ხელს კიდებს, თვალს აყოლებს, კუბოს შეხედავს, შემდეგ დარაჯს.

დარაჯი

(ღიმილით)
ეგ ჭიპლარია, გზისპირელო.

გზისპირელი

(გაკვირვებით)
ჩემს კუბოზე რატომაა გამობმული?

დარაჯი

აქ გულთმისანებმა გადმოგასვენეს, მედეა მათ წინამძღოლობდა, ჭიპლარი შენი კუბოს საზიდად აქვს გამობმული.

გზისპირელი

(მზრუნველობით)
კიდევ სჭირდება?

დარაჯი

არა, შეგიძლია მოაშორო, მაკრატელი აგერაა, მხოლოდ მიცვალებულს შეუძლია გულთმისანის ჭიპლარი უვნებლად გადაჭრას.

გზისპირელი გახარებული სწრაფად ჰოულობს მაკრატელს, მიდის, იღებს და სოლთან ბრუნდება, გზად იოკასტესა და ოიდიპოსს შეხვდება, ოიდიპოსი ზურგს აქცევს იოკასტე წინ გადაუდგება.

გზისპირელი

(შფოთვით)
ესენი ვინ არიან, დარაჯო?

დარაჯი

(მშვიდად)
ეგ ქოფაკი ოიდიპოსია, შენი შვილი. ერთ ცხოვრებაში დიდებული მეფე იყავი, მაგრამ გიწინასწარმეტყველეს, რომ შეგეძინებოდა შვილი, რომელიც როცა გაიზრდებოდა მოგკლავდა შენ და შენს დედოფალს, საკუთარ დედას, ცოლად შეირთავდა. ამიტომ საკუთარი ვაჟი დაბადებისთანავე მდინარეში მოისროლე, გეგონა მოკვდა, მაგრამ გადარჩა, მწყემსმა გაზარდა და ერთ დღესაც საბედისწეროდ გადაგეყრებოდა, ისე რომ ვერც ის გიცნობდა და ვერც შენ, სიცოცხლეს გამოგასალმებდა, შენს სამეფოს დაიპყობდა საკუთარ დედას კი ჯილდოდ შეირთავდა. ახლა როცა შენ მკვდარი ხარ, მას მომავალი აღარსადაა აქვს, დადის, ბოლთას ცემს და უგზოუკვლოდ ყეფს და ვიშვიშებს. შვილი, რომელიც ვერ მოკლავს მამას, სხვების შხამად და ტვინის წამღებად გადაიქცევა. ხოლო ეგ ძროხა, მოზვერის სევდით, შენი ცოლი და დედოფალი იოკასტეა, მასზე სათქმელი ბევრი არა მაქვს.

გზისპირელი გაფითრებული ჩამოდგება, დარაჯი შეაგულიანებს.

დარაჯი

(ომახიანად)
ჭიპლარი გადაჭერი, გზისპირელო, კულმინაცია ახლოვდება!

გზისპირელი მედეასთან მიდის და ჭიპლარს ჭრის, მედეა ოთხზე დადგება და კბილებს ვეფხვივით გამოაჩენს.

მედეა

(ხელოვნურად)
ღღაااااა!

შეშინებულ გზისპირელ მაკრატელი ხელიდან გაუვარდება, მედეა წრეზე სიარულს დაიწყებს თან ვეფხვის ხმით ღრიალებს, მას უკან ამოუდგება იოკასტე ღმუილით და ოიდიპოსი ყეფით.

გზისპირელი

(გაოცებით)
რას აკეთებენ, დარაჯო?!

დარაჯი

დაწერილ ისტორიას ამჟღავნებენ, გზისპირელო, უკვე დროა, რომ ჩვენც შევუერთდეთ!

დარაჯი მეორე სართულის იატაკიდან გრძელ შოლტს იღებს, ხელის სწრაფი მოძრაობით გზისპირელს ზურგთან უტყლაშუნებს, რომელიც შინდება და დარაჯისკენ ტრიალდება.

დარაჯი

(მბრძანებლურად)
ხელით სცენის იატაკზე დაგდებული იალქანისკენ ანიშნებს.
ჩქარა, აფრით მოქარგული იალქანი აღმართე, გზისპირელო!

დარაჯი შოლტს კიდევ ერთხელ აქნევს, გზისპირელი დაბნეულად, სწრაფად მიდის ჰორიზონტალურად დადებულ იალქანთან და ვერტიკალურად მართავს.

დარაჯი

(ომახიანად)
იცოდე, იალქანი ცას სწვდებოდეს, მისი აფრა ღრუბლებს, როგორც პეპლებს ბადე, მუშტად უნდა ატყვევებდეს!

გზისპირელი იალქანზე აფრას მართავს, დარაჯი კიდევ ერთხელ დაიქნევს შოლტს და ამჯერად სცენაზე დაგდებულ უნაგირზე ანიშნებს.

დარაჯი

აბა მარდად, გზისპირელო, უნაგირი შეიკაზმე, უმაგისოდ ხომ იცი, რომ მხედრიონებს ვერ განაგებ?!

გზისპირელი უნაგირთან იხრება, ფიცრულ ბაგას ფეხზე აყენებს, ზედ უნაგირს დებს და კაზმავს.
დარაჯი გულთისანებისკენ ტრიალდება და გარს უვლის შოლტის ტყლაშუნით.

დარაჯი

(მჭექარედ)
გულთმისანებო, ქოთნები ჩქარა! შემოიტანეთ თქვენი სამშობლო!
ჟამთააღმწერლის კალმისტარმა, სიზმარმხილველად გარდაცვალება დიდი ხანია მელნად ფურცელს სცხო!

გულთმისანები ფოლადის ქოთნების უკან თავებს იატაკამდე ხრიან, გადაადგილებისას ხელ-ფეხს ხვლიკებივით მაღლიდან დგამენ სცენაზე, სცენის შუაგულისკენ მოემართებიან, თავებით უყვავილო ქოთნებს მოაცურებენ და რკალ-რიგად ამწკრივებენ.

გზისპირელი უნაგირის შეკაზმვას რჩება და გულთმისანებს შესცქერის, დარაჯი კვლავ გზისპირელს უბრუნდება.

დარაჯი

ნუ ყოვნდები, გზისპირელო, დავთრებია ასაკინძი, ჩქარა ნაშთი გამოთვალე!

გზისპირელი საქაღალდესთან იჩოქებს, ფურცლებს იღებს, ახარისხებს, კინძავს. დარაჯი დროს იხელთებს და გულთმისანებისკენ ტრიალდება.

დარაჯი

(მბრძანებლურად)
განზე გადექით, გულთმისანებო, იატაკზე დაეყარეთ, სამშობლოს ნუ მიეჯაჭვებით, პატრიოტიზმი მონატრებაში აღმოცენდება!

გულთმისანები ქოთნებთან, ოდნავ მოშორებით, მომლოდინედ სხდებიან, გზისპირელი ფურცლებს საქაღალდეში აბრუნებს, დარაჯი კვლავ მისკენ შოლტის ქნევით ტრიალდება.

დარაჯი

თხილის ტოტი მოიმარჯვე გზისპირელო, მენახირედ დაფასდები წკეპლის გამოთლა თუ იცი, ვიცი ძნელად გადაიტან ძროხები, რომ დაგეფანტოს, ან ხბორები გაყეყეჩდნენ!

გზისპირლი თხილის ტოტისგან, იქვე დაგდებული წალდით, წკეპლას თლის.

დარაჯი

ახლა ტყავის სავარძელი გზისპირელო, ხომ არ გინდა 1001 ცხენის ძალით გავარდნილმა ბორბალთმხვრელმა კისერსა და ხერხემალში ერთიანად გადაგტეხოს?

გზისპირელი მანქანის სავარძლის ბოლომდე გადაწეულ საზურგეს ასწორებს. დარაჯი ჯიბიდან რაღაცას იღებს და გზისპირელს უგდებს.

დარაჯი

აჰა, იღბლის საცდუნებლად კამათელიც გააგორე, ნახონ ერთი რა ბიჭი ხარ და დარწმუნდნენ, რომ შენი მარჯვენა წყვილ კამათელსაც ისე აგორებს, როგორ მარჯვედაც მთვარიან ღამით ცალთვალა გველს მოგუდავს ხოლმე!

გზისპირელი სცენის მარჯვენა კიდესთან იჩოქებს, კამათელს მუჭში იქცევს, აქნევს, ეგადგმოგდებული ემზადება, დარაჯი ინაბება, გზისპირელი კამათელს ხელს უშვებს და სცენის შუაგულისკენ აგორებს, დარაჯი თავს გააყოლებს დახედავს და აღტაცებით გაშლის მკლავებს.

დარაჯი

(აღტაცებით)
ყოჩააღ! ყოჩაააღ, გზისპირელო! ჩემთან მოდი, მოდი გვერდი დამიმშვენე! მხედარო და მეზღვაურო, ბუღალტერო, მოთამაშე, მრბოლელო და მენახირევ, ერთი სიტყვით გზისპირელო, ასე მარჯვედ ჯერ არასდროს აღგიმართავს იალქანი!

გზისპირელი დარაჯთან მიდის, რომელიც მას გულში იკრავს, შემდეგ ხელს მკლავში კიდებს, სწრაფი ნაბიჯით მიჰყავს ნაგებობასთან, დარბაზს ზურგს აქცევენ, მესამე სართულს აშტერდებიან.

დარაჯი

(მშვიდად)
აბა, გზისპირელო, ის აქ არის! მზად ხარ მარადისობა მის მკლავებში, თმის სიმების ჟღარუნში გაიხანგრძლივო?

მშვინვიელი ფრთხილად გამოდის ოთხკარიანი ფიცრულიდან, დარაჯსა და გზისპირელს ჩუმად გახედავს, ფეხის წვერებზე აწეული, მაჯრვენა კულისში გადის.

გზისპირელი

(მოუთმენლად)
მაგ შეკითხვაზე პასუხს, დარწმუნებული ვარ, შენც და მაყურებელიც ცალსახად ხვდებით, დარაჯო.

დარაჯი

(მშვიდად)
ეგ რომ მოხდეს, მე არ უნდა მომკლა, გზისპირელო.

გზისპირელი

(გულუბრყვილოდ)
აა-ჰა-ჰა, აბა შენსავით არავის აღუმართავს იალქანიო? არ მეგონა აბუჩად კიდევ თუ ამიგდებდი, დარაჯო.

დარაჯი

(ნაღვლიანად)
აბუჩად არ გიგდებ, გზისპირელო.

გზისპირელი

(გულუბრყვილოდ)
არამგონია უხუცესი დარაჯის მოკვლა შემეძლოს.

დარაჯი

შეგიძლია!

დარაჯი ნაგებობის პირველსა და მეორე სართულს შორის დატანებულ უჯრას აღებს, სადაც სანადირო თოფი დევს ჰორიზონტალურად, კონდახით გზისპირელისაკენ. ორივე თოფს აშტერდება.
ერთხანს სიჩუმეა.
სცენის მარცხენა კულისიდან მშვინვიელი გამოყოფს თავს დასაზვერად.

გზისპირელი

(ფორიაქით)
მე არ მინდა შენი მოკვლა!

დარაჯი

(მშვიდად)
მოგინდება!

გზისპირელი

რისი გულისთვის?

დარაჯი

ვისი გულისთვის, გზისპირელო! ამბავი, რის გამოც ჩემს მოკვლას გადაწყვეტ, უკვე მოხდა, მაგრამ შენ მონაწილე ჯერ არ ყოფილხარ.

მშვინვიელი კულისიდან სცენაზე იპარება, ფეხაკრეფით მიდის პირველ - ოიდიპოსის ქოთანთან.

გზისპირელი

(დაბნეულად)
ეგ როგორ?

მშვინვიელი ფრთხილობს, ჩაცუცქული დაძვრება, ერთ-ერთ ნაწნავს თავიდან იგლეჯს და ოიდიპოსის ქოთანში რგავს.

დარაჯი

(ნაღვლიანად)
დრო, მთაგრეხილად აიზბერგია, რომლის გარშემოც ოკეანე ნელ-ნელა შრება. ჩვენ აიზბერგთან იმ იმედით ვცურავთ, რომ ერთ დღესაც მწვერვალზე ავაბიჯებთ. თავად ოკეანე ჩვენი ყოფაა და ვინაიდან აიზბერგის დაპყრობა გვსურს, ქარით მოტანილ ღრუბლებს ძალდატანებული აღტაცებით ვეგებებით. იმას კი ვერ ვამჩნევთ, რომ ოკეანე სულ უფრო შრება და ფსკერისაკენ მივექანებით. წყლის ზედაპირი აწმყო გვგონია. არადა წყალგაუვალი წარსულია, რომელშიც ვცურავთ. მომავლად მწვერვალი

გვესახება, თუმცა აწმყოა. უნებლიედ წარსულში ვცხოვრობთ, გზისპირელო და აწმყო გვგონია. მომავალი კი აიზბერგის საძირკველია. ის დამდგარია. უკვე არსებობს. ოკეანე კოჭამდე კაბად შეუმოსავს და კეკლუცურად გაშიშვლებას გვთხოვს. სიზმარმხილველნი ცხოვრობენ მხოლოდ მისი კალთის ქვეშ, ჩვენებურად მოცურავენი მწვერვალს კი არ მიშტერებიან, ფსკერზე ყვინთავენ. ამიტომ მათთვის ყველაფერი უცხადესია.

მშვინვიელი გზას განაგრძობს, ძალიან დიდი სიფრთხილით უკვე მივიდა იოკასტესთან და მის ქოთანშიც ნაწნავი ჩაფლო, დარჩა მედეა.

დარაჯი

(ნაღვლიანად)
ჟამთააღმწერელი მოქანდაკედ უზის აიზბერგს. მუზამოსილი საძირკველთან დაყუდებულა, შთაგონებად მშვინვიელი აურჩევია და კალმისტარით დროს აქანდაკებს. ზუსტად ახლა, ჩვენს ზურგს უკან მშვინვიელი თლილ ნაწნავებს ქოთნებში დებს. რაც აიზბერგის საძირკველია, რომლის მიჯნაზეც მე და შენ ვცურავთ.
თავს ქინდრავს.
ჟამთააღმწერელი მოქანდაკედ უზის აიზბერგს და კალმისტარით დროს აქანდაკებს..

მშვინვიელი მედეასთან მიდის, უღიმის, მის ხელს ხელით იჭერს, ჭაღარა ნაწნავთან მიაქვს და ქოთანში აფლობინებს.

გზისპირელი

(ეჭვით)
მშვინვიელს ხელს რატომ არ უშლი ნაწნავების ჩარგვაში?

დარაჯი

(ცრემლნარევად)
რადგან შენ გესაუბრები, გზისპირელო.

მშვინვიელი ფრთხილად გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს და უზარმაზარ სანაყს ამოეფარება.

დარაჯი

(მშვიდად)
შეგიძლია შეტრიალდე გზისპირელო, მშვინვიელი დაიმალა და ჩვენც უკვე აიზბერგის იმ მიჯნაზე ვართ, სადაც გაუმხელელი საიდუმლოები იწერებიან.
გზისპირელი ტრიალდება და ქოთნებთან მიდის, დარაჯი უძრავად დგას.
სანაყთან მიდი.
გზისპირელი სანაყთან მიდის.
მანდ ფილთაქვა დევს, აიღე.

გზისპირელი დიდ ფილთაქვას ჰკიდებს ხელს ასაღებად.
მძიმეა, ორივე ხელით დაეჭიდე და ისე აიღე.

გზისპირელი ორივე ხელით ეჭიდება, მეორე ხელის მოკიდებისას სცენის მარჯვენა მხარეს იხრება, მშვინვიელს ხედავს, მშვინვიელი სწრაფად ავლებს მკლავში ხელს, უღიმის, გზისპირელი დარაჯს გახედავს, მშვინვიელი მკლავში ქაჩავს, საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიაქვს, გზისპირელს ძალდატანებით ახრევინებს თავს და რაღაცას ჩასჩურჩულებს.
გზისპირელი შორდება, ფილთაქვას იღებს. დარაჯი ხელს კეფაზე ისვამს, ნერვიულობას იწყებს, აშკარაა, რომ კანკალებს.

დარაჯი

(გაუბედავად)
ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ.
აიღე-ე?

გზისპირელი

(სწრაფად)
ავიღე!

დარაჯი

თითქოს სადაცაა ცრემლი წასკდება.
მძიმეა-ა?

გზისპირელი

ძალიან!

დარაჯი შოლტს გაატყლაშუნებს, გულთმისანები ქოთნებზე ჩანასახის ჰოზაში სხდებიან სახით დარბაზისაკენ და თავებს ქინდრავენ.
დარაჯი გზისპირელისკენ ტრიალდება შარვლის ჯიბიდან სამ კონვერტს იღებს, ორს აძლევს, მეორეს კი ჰერანგის ქვეშ, გულში იდებს, იქ სადაც სისხლის ლაქა აქვს.

დარაჯი

(ღიმილით)
ეს წერილები კარგად შეინახე, გზისპირელო, როცა დრო მოვა ერთი მათგანი მშვინვიელს მიეცი, კიდევ 4 დარჩება დასარიგებელი. როცა შვიდივე წერილი მათ მფლობელებთან გაიგზავნება, ყველაფერი წარსულს ჩაბარდება და შეიცვლება.

დარაჯი ნაგებობასთან მიდის, მეორე სართულზე ადის, კიბიდან ნახევრად შეკერილ ჩექმას იღებს და გზისპირელს მიმართავს.

დარაჯი

(მშვიდად)
წყალი დანაყე!

გზისპირელი სანაყიდან აქამდე დამალულ სათლს იღებს, ძირს დებს, ფილთაქვას აღმართავს ძალიან ნელა და ნელადვე არტყამს სანაყში, წყლის წვეთები გადმოდის. დარაჯი მესამე სართულზე ადის და დარბაზს მიმართავს.

დარაჯი

(მჭექარე განგაშით)
სიზმარმხილველნი მუხის ტოტებზე აღბეჭდნენ ზღაპრებს ურცხვი თვალების, შეადარებდნენ მოზვერის სევდას_ გულუბრყვილო მზეს ცის კაბადონზე, მთვარისებურად ნაქარგს და ნატანჯს. მუხის ტოტებზე ნაიარევულს თქვენ შეამჩნევდით მშვინვიელის მშობიარობას, ვით ქრიზანთემის ყვავილობას შემოდგომის ცივ უდაბნოში, ვით გაზაფხულზე იასამნის უქარო რხევას. თავად კი მუხა, ვითა ფურცელი სიზმარმხილველთა, შეჰხორცებია ხეთა ქარავანს და მდგარა მყარად მარტოსულობის სადარაჯოზე. სიზმარმხილველნი იყვნენ უკვდავნი, თვალთუნახავნი თუმცა კი ბრძენნი. ჯოჯოხეთის კარს მიუკაკუნეს უხსოვარ დროში და აღვივებდნენ ფურორის ალებს, შებოჭილობის სულის შებერვით. მანამ არ გალღვა ტყავი მათს ჩონჩხზედ. ხოლო როდესაც ჩონჩხმა ტყვეობას ზურგი აქცია, ცის კაბადნიდან განათლულ ბნელში დაეშვა კიბე, კიბე ზეცისა და ჩამოემხო ჯოჯოხეთის ჭაღს, უფსკრულის კიდეს. ასე, ამგვარად გონგაწყვეტილნი ჩონჩხნი ავდრისა შეუდგნენ კიბეს, კიბეს ზეცისას და მიაშურეს მზეს მთვარისებურს. რათა ემოძღვრათ ბაღნარის მკვიდრნი, რათა შეეთხზათ მათთვის სიზმრები, სამარადჟამოდ, რათა აღეგვათ ბედნიერების კარიბჭის ჯაჭვი.
მორჩი ნაყვას, გზისპირელოო!

გზისპირელი ჩერდება, დარაჯს ახედავს.

დარაჯი

(მშვიდად)
დადე ფილთაქვა.
დებს.
სათლი აიღე.
იღებს.
წყალი ჩაასხი.
ასხამს.
გულთმისანებს სათითაოდ შეასხი და როცა დრო მოვა მიხვდები რა ქნა. მე ჩექმა უნდა შევიკერო.

დარაჯი მესამე სართულზე დარბაზისგან ზურგით ჯდება, კერვას იწყებს. გზისპირელი იოკასტეს ასხამს წყალს, იოკასტე ჩვილივით იწყებს ტირილს, მანჭვით დგება, გზისპირელი სათლს კვლავ ავსებს და ოიდიპოსსაც ასხამს, ოიდიპოსიც ტირილითა და მანჭვით იმართება წელში. გზისპირელი უკანასკნელად მიდის წყლის ასავსებად, ის ისაა, რომ მედეას უნდა შეასხას, რომ მედეა თავად სწორდება წელში.

მედეა

(მბრძანებლურად)
წყალი არ შემასხა გზისპირელო!

გზისპირელი

(ინტერესით)
ვითომ რატომ?

მედეა

(გამომწვევად)
ჯერ დამპირდი, რომ არ შემასხამ!

გზისპირელი

დარაჯს ვკითხავ.

მედეა

კაბის აკაპიწებას იწყებს.
ნებას არ მოგცემს, ჩვენი უბეები დაისაკუთრა და არავის უთმობს.

მედეა ბოლომდე იკაპიწებს კაბას და გზისპირელს უჩვენებს.

მედეა

(გამომწვევად)
გინდა?

გზისპირელი სათლს ხელს უშვებს, შარვალზე იკიდებს ხელს და მოუთმენლად დგამს ნაბიჯს მედეასკენ. მედეა თავში ხელს კრავს, უკან ახევინებს და თითს უქნევს, კაბას ისევ კოჭებამდე უშვებს.

მედეა

(დატუქსვით)
ჯერ უნდა მითხრა, რატომ!

გზისპირელი

(ვნებიანად)
მთვარის ერთადერთი ბინა..

მედეა

დაიჩოქე!

გზისპირელი

იჩოქებს.
მთვარის ერთადერთი ბინადარი ვარ, დასაბამიდან უსტუმროდ მცხოვრებს, ერთხელ ნეტარებამ მომიკაკუნა. ყალყზე დამდგარმა შიშმა დამასწრო ჭუჭრუტანაში გახედვა, ხელის კანკალით ჩამოვწიე სახელური და კარი გავაღე. ნეტარებამ წყრომით შემომხედა: ქვეყნად ამდენი სიტკბოებაა, შენ კი აქ გამოკეტილხარ და სულს ღაფავო. ხელი მომკიდა, დედამიწაზე გადმომისროლა. ხმელეთზე დანარცხებული უქოლგოდ შევეჭიდე წვიმას. მთვარისა და მზის ჭიდილი ვიხილე მწუხრის ჟამს. ღამე ხეტიალში გავლიე. მდინარეშიც გადავეშვი თავის მოსაკლავად, მაგრამ სიტკბოება მაინც ვერ ვიპოვნე, გული მთვარისკენ მექაჩებოდა. მდინარემ ტყის პირას გამომრიყა, სადაც ცისარტყელის ქვეშ დობილნი ტალღებში თმას განიბანდნენ. მაშინ ვკიდე თვალი შენს მაღალფარდოვან თეძოებს, ჭაღნარევ მკერდს, მომლოდინე ყელს, უტყვ ბაგესა და მეტყველ ყვრიმალებს და გადავწყვიტე მთვარის ერთადერთი ბინადარი, მთვარეზე აღარ დავბრუნებულიყავი.

მედეა ერთბაშად იწვს კაბას.

მედეა

(უნებისყოფოდ)
მოდი!

გზისპირელი დაჩოქილივე ეცემა მედეას უბეს.

მედეა

აა-ჰა-ჰა, ფრთხილად შე გაუმაძღარო! მაგრამ იჩქარე, დარაჯი სადაცაა შეკერავს ჩექმას!

გზისპირელი დგება, მედეას ხელში იყვანს, ქოთნის უკან იატაკზე ზურგით აწვენს, ეუფლება, ხვნეშა ძლიერდება, მშვინვიელი სანაყიდან გამოძვრება და გზისპირელს ზურგიდან დაესხმება თავს.

მშვინვიელი

(ნიშნის მოგებით)
გაები, როგორც იქნა გზისპირელო? ახლა ჩემი ხარ, დარაჯი ჯერ ვერ დაგეხმარება!

მშვინვიელი მედეას დახმარებით გზისპირელს ძირს აგდებს, მათ ოიდიპოსი და იოკასტეც უერთდებიან, გზისპირელს წრეში აქცევენ, მათი მოძრაობა ხორუმის ცეკვას

წააგავს, მსხვერპლი ხან ერთ რკალს მიაწყდება ხან მეორეს, მაგრამ გაღწევას ვერ ახერხებს, გულთმისანები მკლავებით იჭერენ, წრეს არღვევენ, სცენის ერთი კიდიდან მეორეში ფეხების თრევით დაატარებენ, ხარხარებენ, ხავიან, ბოლოს ისევ სცენის შუაგულში აგდებენ, ზედ ეხვევიან, თავს ზემოთ მისი ჰერანგის, ჰალსტუხისა და შარვლის ნაგლეჯებს აგდებენ, ბოლოს მის ტუფლებს და ერთ წინდას ყრიან. დარაჯი ამასობაში მორჩა კერვას და ნაგებობის მეორე სართულზე ჩექმებითა და შოლტით ხელში დინჯად ჩამოდის. შოლტს ატყლაშუნებს.

დარაჯი

(ომახიანად)
სიზმარმხილველნო, საკმარისია!

მშვინვიელი

(მჭექარედ)
სიზმარმხილველნო, დარაჯი გააწამეთ!

გულთმისანები, აწ უკვე სიზმარმხილველებად წოდებულები გზისპირელს თავს ანებებენ და დარაჯს უტევენ, დარაჯი სცენაზე შოლტის ქნევით ხტება, სათითაოდ დაუვლის მათ და დააშოშმინებს, გზისპირელის სხეულთან გაჩერდება, მშვინვიელს შეხედავს.

დარაჯი

(ხელოვნური სიმშვიდით)
გამარჯობა, მშვინვიელო!

მშვინვიელი

(გამომწვევად)
ვხედავ ჩექმები უკვე დაგისრულებია, წაიყვანე, რაღას უცდი.

დარაჯი გზისპირელს აყენებს, მხარზე იყრდნობს და მარცხენა კულისში გაყავს.

მშვინვიელი

(მჭახედ)
მოიცა!

დარაჯი ჩერდება, მშვინვიელი გზისპირელთან მიდის, თეთრ საცვალზე კოცნის და ტუჩსაცხს მკვეთრად ამჩნევს.
დარაჯი და გზისპირელი სცენას, მარცხენა კულისიდან ტოვებენ.

მშვინვიელი

(ალერსით)
ახლა წადით, ჩემო ძვირფასო სიზმარმხილველნო, გზისპირელი ჩემი უბის დასასაკუთრებლად უნდა მოვიდეს, გაიქეცით!

ოიდიპოსი, მედეა და იოკასტე კულისებში გაიქცევიან, მშვინვიელ სცენის კიდეზე ჩამოჯდება.
მარცხენა კულისიდან გზისპირელი შემოდის, კვლავ სიზმარმხილველისგან დაფლეთილი სამოსი აცვია, მშვინვიელის ნაკოცნი ტუჩსაცხი თეთრ საცვალზე შესამჩნევად აცხია. მხრებზე გადაკიდებული თოკებით სცენაზე მთის ბუტაფორიას მოათრევს, თოკებს იშორებს, ნაგებობის მეორე სართულზე ადის, ხელს მოაჯირს მოჰკიდებს და მშვინვიელისკენ გადაეყუდება.

გზისპირელი

(თავმომწონედ)
მშვინვიიეელოოო! მშვინვიიეელოოო!
მოგიტანე მთაგრეხილი, სავსე უღელტეხილებით.
მოდი სულში ჩაიკარი მწვერვალი და ჩემი გული.
ქვედაბოლოდ მოიქარგე ცისარტყელა, ვარსვლავებით.
ღრუბელნარი დაგიმშვენოს უბემ, კალთით მოარული.
მშვინვიიეელოოო! მშვინვიიეელოოო!

მშვინვიელი წამოდგება და გზისპირელისკენ კეკლუცით გადადგამს ნაბიჯს. გზისპირელი მეორე სართულიდან სცენაზე ხტება.

მშვინვიელი

(გამომწვევად)
ყურის დამთრობი ლომის ღრიალი შენ გეკუთვნის, გზისპირელო?

გზისპირელი

(თავმომწონედ)
მე მეკუთვნის, მშვინვიელო, ჩემო ვეფხვო! მოდი ჩემთან, შემოგარტყა გალავანი, გაგიფინო ხალიჩებად ხმელეთი და ოკეანე!

გზისპირელი ხელებს შლის ჩასახუტებლად, მშვინვიელი კისკისით ჩაუვარდება მკლავებში.

მშვინვიელი

(ბავშვურად)
ჩემი მარტოსულობის სადარაჯოდ მოხვედი გზისპირელო?

გზისპირელი

შენი სუნთქვის ბაგეში გამოსამწყვდევად მოვედი, მშვინვიელო!

გზისპირელი კოცნას ცდილობს, მშვინვიელი ხელიდან უსხლტება, მთაგრეხილთან მიდის, მწვერვალს გულში კისკისით იკრავს, გზისპირელს ვნებიანად აშტერდება, რომელიც მისკენ დგამს ნაბიჯს, უახლოვდება, მშვინვიელი იალქანთან მირბის, აფრის წინ ჩერდება, ზურგით მიეკრობა, მშვინვიელი იალქნის მეორე მხრიდან მივა და ზურგიდან შემოხვევს მკლავებს მშვინვიელს.

მშვინვიელი

(გამომწვევად)
რა დიდებული იალქანია?

გზისპირელი

(თავმომწონედ)
მისი კენწერო ცას სწვდება, მშვინვიელო, რომლის შემხედვარე ღრუბლები ბოღმისგან ქშენენ!

მშვინვიელი დარბაზს გახედავს და ერთი ადგილისკენ მიუთითებს.

მშვინვიელი

(ხელოვნური წუწუნით)
ის ვეშაპი ჩემს სილამაზეს ჩრდილავს, გზისპირელო!

გზისპირელი მშვინვიელს ხელს უშვებს, აფრას ასწორებს და სანადიროდ ემზადება.

გზისპირელი

დავედევნები, კუდში ჩავავლებ, ხომალდის კიჩოს გამოვაბამ და ოკეანის ზურგზე ვახოხიალებ, მშვინვიელო!

მშვინვიელი უნაგირთან მირბის, ზედ ჯდება, გზისპირელი გაკვირვებული აყოლებს თვალს.

მშვინვიელი

მამაჩემი ჩემს უბეს არ გაგატანს!

გზისპირელი

მშვინვიელთან მიდის.
მხედრიონით მოვადგები შენი სახლის ჭიშკარს. ჭერს ცეცხლს მივცემ. კარის ზღურბლზე შემოგებებულ მამაშენს მათრახს ყბაში შემოვტყორცნი. კბილებს დავაყრევინებ. არ ვიკმარებ, ყელს გამოვჭრი. ჩემს კუნთმაგარ ფაშატზე შეგსვამ და გაგიტაცებ!

მშვინვიელი ტუჩებს სასხვათაშორისოდ წრუპავს, მხრებს იჩეჩს, გზისპირელი კიდევ ერთხელ შეეცდება კოცნას, მაგრამ გაექცევა, იატაკზე ჩამოჯდება და საქაღალდეს დაავლებს ხელს, უაზროდ გადაფურცლავს.

მშვინვიელი

(სასხვათაშორისოდ)
ვალები გვაქვს, ქირაც გადასახდელია, მაგრამ არაუშავს, სახლი რად გვინდა, მაინც არასოდეს მოდიხარ!

გზისპირელი

(იმედიანად)
სამ თვეში დამაწინაურებენ. მთავარი ბუღალტერი პრემიას შემპირდა. ძალიან მალე თავისუფალი დროც გამომიჩნდება. შეიძლება კვირაში ერთი დღე დავისვენო კიდევაც.

მშვინვიელი საქაღალდეს ჰაერში ისვრის, იქვე დაყრილ კამათელს იღებს, ხელით ათამაშებს, იატაკზე ცალი მხრით გორდება.

მშვინვიელი

(ცრემლნარევი წყენით)
ისევ დალიე?

გზისპირელი

ზურგს აქცევს.
(მკვახედ)
დამღალე, მშვინვიელო, სულს მიხუთავ!

მშვინვიელი კამათელს ყრის, წკეპლას იღებს და ხელში ათამაშებს.

მშვინვიელი

(ძალდატანებით)
იწველებიან?

გზისპირელი

მშვინვიელისკენ ტრიალდება.
(აღტაცებით)
იწველებიან რომელია, მშვინვიელო, ფაქიზომ წინა თვეში 33 ლიტრი რძე მოგვცა. იცი, თებრომ ხბო მოიგო.

მშვინვიელი ერთხანს წკეპლას დახედავს, აგდებს, უჟმური სახით ჯდება მანქანის სავარძელში, ხელებს მკერდზე იწყობს, შუბლს კრავს, გზისპირელს გახედავს.

მშვინვიელი

(უინტერესოდ)
შენია?

გზისპირელი

(ყეყეჩურად)
ჩემია!

მშვინვიელი

მძლავრია?

გზისპირელი

1001 ცხენის ძალა აქვს, მშვინვიელო.

მშვინვიელი დგება, კულისისაკენ იღებს გეზს, გზისპირელი ზურგში ეცემა, საჯდომზე ხელს ავლებს, ქაჩავს, სავარძელზე აგდებს, ზემოდან აჯდება, თავს იღლიაში აყოფინებს, ფეხებს აშლევინებს და ერთბაშად ეუფლება. მშვინვიელი შემზარავად იკივლებს, გზისპირელი ქოშინს იწყებს, მის სხეულზე ცურდება, იატაკზე წვება და იძინებს. სავარძელზე უღონოდ მიგდებული მშვინვიელს მუცელზე კონვერტი უდევს, გაჭირვებით დგება, ოთხკარიან დეკორაციაში შედის და კარს ნელა ხურავს.
მარცხენა კულისიდან დარაჯი შემოდის, ცალი ხელით მაგიდას მოათრევს, რომელზეც უზარმაზარი კანჭი, დიდი დოქი, თეთრი ზეწრები, ყანწები და მაღალი საფლავის ქვა ვერტიკალურად დევს, მხრებზე ჩექმები აქვს გადაკიდებული, შოლტი შარვალზე გამოუბავს, მეორე ხელით სკამი უკავია, კულისთანვე დგამს, მაგიდას სცენის შუაგულში დებს, გზისპირელის თავთან ჯდება და ფეხს ზურგში კრავს.

დარაჯი

(მკაცრად)
გაიღვიძე, გზისპირელო! ადექი, ჩექმები უნდა ჩამაცვა.

გზისპირელი იღვიძებს, დარაჯი ჩექმებს უწვდის, გზისპირელი მუხლებზე დგება, ართმევს და ჩაცმას იწყებს.

გზისპირელი

(ძალდატანებით)
სადმე მიდიხარ?

დარაჯი

(მშვიდად)
ერთად მივდივართ! იმქვეყნიურს უნდა ვესტუმროთ, არ მკითხო, რისთვის.

გზისპირელი შეცბუნებული აცმევს ფეხსაცმელს, დარაჯი დგება.

დარაჯი

(დამრიგებლურად)
ეს ზეწრები აიღე და ოთხკარიანი კარადის გარდა ყველაფერს ჩამოაფარე.

გზისპირელი დავალებას ასრულებს, დარაჯი ნაგებობის მესამე სართულზე ადის, ჯვრის გარშემო, ხატის მსგავს ჩარჩოს აღმართავს და ჯვარზე ეცმება.

დარაჯი

(ხმამაღლა)
მარმარილოს ქვას ამოეფარე, გზისპირელო!

გზისპირელი მარმარილოს ეფარება, ქვის წინა მხარეს მისი მდგომარე, გაღიმებული სურათი გამოიკვეთება.
მარცხენა კულისიდან იოკასტე შემოდის, სკამს მაგიდასთან აცურებს და ჯდება, მარჯვენა კულისიდან ოიდიპოსი შემოდის ერთ ხელში კონვერტი უკავია მეორეში სკამი, იოკასტეს წინ ჩერდება და კონვერტს უჩვენებს. მშვინვიელი თავს ოთხკარიანი დეკორაციიდან ამოყოფს სათვალთვალოდ.

ოიდიპოსი

(პათეტიკურად)
ეს მართალია, დედა? მამა მოკვდა?

იოკასტე თანხმობის ნიშნად თავს დაუკრავს.

ოიდიპოსი

ახლა მე რა ვქნა?

იოკასტე

(ირონიულად)
პირველ რიგში, შეგიძლია დაჯდე.

ოიდიპოსი შეცბუნებული მოავლებს არე-მარეს მზერას.

ოიდიპოსი

სად უნდა დავჯდე, დედა?

იოკასტე

მაგ სკამზე, ხელში რომ გიჭირავს, ოღონდ ჯერ დადგი და მერე დაჯექი.

ოიდიპოსი

აა, ხო, სკამი მაქვს. კარგი დედა.

ოიდიპოსი სკამს მაგიდასთან დგამს, დარბაზისგან ზურგით და ჯდება.

ოიდიპოსი

დავჯექი, დედა.

იოკასტე ძალდატანებით გაუღიმებს.
მარჯვენა კულისიდან მედეა შემოდის, მასაც ერთი ხელით კონვერტი და მეორეთი სკამი შემოაქვს, პირდაპირ მაგიდასთან მიდის, სკამს დგამს და იოკასტეს წინ ჯდება.

მედეა

(ინტერესით)
შიდსი ხო?

იოკასტე თავს თანხმობის ნიშნად დაუქნევს. მედეა ოიდიპოსს შეხედავს და იოკასტეს მიმართავს.

მედეა

ოიდიპოსი როგორ გრძნობს თავს.

იოკასტე

ნორმალურად.

მედეა

რა გეგმები აქვს?

იოკასტე

3 დღეა პურზე ჩასასვლელად ემზადება, თითქმის მზად არის.

ოიდიპოსი

თითქმის მზად ვარ, რომ პურზე ჩავიდე.

მედეა ოიდიპოსს ნაღვლიანად შეხედავს, ამასობაში იოკასტე მკერდიდან კონვერტს იღებს.

იოკასტე

(ინტრიგით)
ვერასოდეს მიხვდები ეს წერილი ვისგან მოვიდა.

მედეა

(ინტერესით)
მაშინ პირდაპირ მითხარი.

იოკასტე

შენი ძმის პირველი სიყვარული გახსოვს? დღე მუდამ მას რომ მისტიროდა და მადარებდა, მისი დარი, რომ ვეღარსად ნახა.

მედეა უსიტყვოდ აშტერდება, იოკასტე კონვერტს ხსნის და წერილის წასაკითხად ემზადება.

ოიდიპოსი

(ამაყად)
აუცილებლად ჩავალ პურზე!

ოიდიპოსი მოწყვეტით გაიქცევა კულისებში, იოკასტე და მედეა ერთმანეთს ნაღვლიანად შეხედავენ.

იოკასტე

(მონოტონურად)
,,ჩემო კეთილო, ბიძამისისგან გავიგე მისი გარდაცვალების შესახებ. სამძიმარს გიცხადებთ. ბოდიში, მოსვლას ვერ მოვახერხებ, მონასტერში ვარ, იღუმენიამ ნება არ დამრთო, რომ ქალაქში ჩამოვსულიყავი.“

მედეა

(გაოცებით)
მას, რა მონაზონი უყვარდა?

იოკასტე

შენ რა არ იცი? შენი ძმის პირველი ქალი მეძავი იყო, რომელთანაც ბიძამისმა მიიყვანა, მას კი თავდავიწყებით შეუყვარდა, იმ დღის მერე დარჩა ორგანიზმში შიდსი, გონებაში კი ცალმრივი სიყვარული, მისი სახელიც კი არ იცოდა. ის ქალი, როგორც ჩანს მონაზვნად აღიკვეცა.

მედეა

(იმედგაცრუებით)
ეჰ, წამოდი ბავშვს გავხედოთ, გზა არ აებნას.

იოკასტე და მედეა სცენს ტოვებენ. გზისპირელი ქვიდან გამოდის, მარმარილოზე მისი სურათი ქრება, სცენის კიდესთან მიდის, ძირს მოწყენილი ჯდება, ამასობაში დარაჯიც ჩამოდის, კიბეებს ნელა მიუყვება, მაგიდიდან კანჭს ლანგრით იღებს, გზისპირელთან დინჯად მიდის და წინ უდებს.

დარაჯი

(მშვიდად)
ჭამე, გზისპირელო.

გზისპირელი

(ნაღვლიანად)
არ მშია.

დარაჯი

(დამაჯერებლად)
ერთი ჩაკბიჩე და მოგშივდება.

გზისპირელი კანჭს ნაჭერს აცლის და პირში იდებს, მეორესაც აყოლებს, შემდეგ მესამეს, ნელ-ნელა ტემპს უმატებს, ცოტახანში თავდაკარგული გაუმაძღრად ჭამს, პირის წკლაპუნითა და ხვნეშით.
დარაჯი შოლტს ხელში იმარჯვებს, ოთხკარიანი კარადისკენ ტრიალდება.

დარაჯი

(დინჯად)
მშვინვიელო, დროა, გამოდი!

მშვინვიელი კარს ნელა აღებს და გამოდის, მოწყენილია, დიდი მუცელ იაქვს, ორსულადაა, დარაჯი მას ნაგებობის მეორე სართულზე ასვლაში ეხმარება, მშვინვიელი ვერტიკალურად მდგარ კუბოში წვება.

მშვინვიელი

(მწუხარედ)
მზად ვარ.

დარაჯი შოლტს აღმართავს, მშვინვიელის თავისკენ იქნევს, კისერზე ახვევს, მშვინვიელს წამით სუნთქვა ეკვრება, ყელზე შემოხვეულ შოლტს ხელებს კიდებს, დარაჯი ქაჩავს მას და სცენაზე აგდებს, მშვინვიელი მუცლით ეცემა, შეშდება, დარაჯი მასთან ახლოს მიდის და შეშდება.
მარცხენა კულისიდან ოიდიპოსი, მედეა და იოკასტე სიზმარმხილველებად შემოდიან, მწკრივად ჩერდებიან.

სიზმარმხილველნი

(ერთხმად)
მგრგვინავი მდუმარების უკუნ სიბნელეში, შიშის მორევში, გაგულისებული

პატრიარქატის ტყვეობაში სულს ღაფავ, მშვინვიელო. ჩვენ კი სიზმარმხილველნი ნუგეშის საცემლად გეძახით: დარაჯი კრინტს ძრავს! ნუ გეშინია! დარაჯი კრინტს ძრავს!

გზისპირელი არხეინად დაბოყინებს, გამძღარი ზურგზე გადავარდება და ხვრინვას დაიწყებს.
გაშეშებული დარაჯი უეცრად მშვინვიელის მუცელს ფეხების რტყმას უწყებს ახალი ჩექმებით, მთელი ძალით ურტყამს, მშვინვიელი განუწვეტლივ მოგუდულად გმინავს. დარაჯი ამთავრებს, სწრაფად ტრიალდება, შოლტს ძირს აგდებს, ჩექმებს იხდის, იქვე ყრის, კვლავ მესამე სართულზე ადის და ჯვარზე კიდევ ერთხელ ეცმება.
მას უკან ოიდიპოსი და იოკასტე მიჰყვებიან ნელი ნაბიჯით, მაკრატელს იღებენ, მესამე სართულზე ადიან, მაკრატელს ჯვარს უკნიდან ამაგრებენ, დარაჯის გვერდით ჩერდებიან. მედეა ნაგებობის მეორე სართულზე ადის, დარბაზისკენ ტრიალდება და ხელებს უბეზე იწყობს.
მშვინვიელი თავს გაჭირვებით წევს, ხელების გამოყენებით მიხოხავს გზისპირელისკენ, გახოხებისას მისი კაბიდან ჩვილის სხეულო გამოგორდება, რომელსაც მშვინვიელი ჭიპლარით მიათრევს, თუმცა მალევე თავს უგონოდ აგდებს იატაკზე და ითიშება.

მედეა

(შეშზარავი მრისხანებით)
გზისპირელოოო!

გზისპირელი ელდანაცემივით წამოხტება და მედეას ახედავს.

მედეა

(კანკალით)
მშვინვიელი.

გზისპირელი მშვინვიელს გაოგნებული შეხედავს, პირი ცხიმიანი აქვს, ოთხით მიცოცდება მასთან, სხეულზე ხელს მოუსვამს, ჭიპლარს მოაშორებს, ჩექმებს შეამჩნევს, დარაჯს ახედავს, ნაგებობის პირველ სართულთან მივა, უჯრიდან იარაღს აიღებს და დარბაზისკენ შეტრიალდება.
მესამე სართულზე, ოიდიპოსი და იოკასტე დაიხრებიან, შავ მოსასხამებს ფეხების გავლით ამოიცვამენ, ყელამდე შეიკრავენ, მოსასხამებს წინანდებურად თოკები ჭიპლარებად აქვთ, კიდევ ორ მოსასხამს იღებენ, ერთს მედეას უგდებენ მეორე სართულზე, ერთს გზისპირელს. ისინიც იცვამენ და ასე უკავშირდებიან ოიდიპოსი და იოკასტე მედეას, ხოლო მედეა გზისპირელს თოკებით.

გზისპირელი

(ხმადაბლა)
დარაჯი გააღვიძე, მედეა.

მედეა ჭიპლარებს მოქაჩავს, ოიდიპოსი და იოკასტე ტკივილისგან კივილს მორთავენ, ჯვარს ჩაეჭიდებიან, ბნედანაცემი დარაჯი გამოიღვიძებს, მათ მკლავებს თავს დააღწევს და ნაგებობიდან სცენაზე გადახტება.
ოიდიპოსი და იოკასტე ჯვარს არყევენ, შემდეგ ატრიალებენ, რომლის მეორე მხრიდან მაკრატელია, მაკრატელს შლიან, მედეა ჭიპლარებს ხელს უშვებს.
დარაჯი სცენის კიდისკენ მირბის, გზისპირელი იარაღს ტენის, დარაჯი გადატენვის ხმაზე კიდესთან იჩოქებს.

დარაჯი

(მუდარით)
არ მესროლო, გზისპირელო, გევედრები, ჟამთააღმწერელია ყველაფერში დამნაშავე, ვიცი სად არის, მასთან მიგიყვან, მე თუ მომკლავ მშვინვიელთან ვეღარ იქნები!

გზისპირელ იარაღს უმიზნებს, ესვრის, დარაჯი თავის დახრას ასწრებს, მაშინვე დგება და დარბაზში ვედრების ყვირილით გარბის.
გზისპირელი გზისპირელი სცენის კიდესთან მიდის, მედეა, ოიდიპოსი და იოკასტე მას მიჰყვებიან.
გზისპირელ კიდევ ერთხელ იღებს მიზანში დარაჯს და ესვრის, კვლავ აცილებს, დარაჯი დარბაზის კარს აღებს და გარბის, გზისპირელი, მედეა, ოიდიპოსი და იოკასტე მას უკან გაჰყვებიან.
მშვინვიელი გაჭირვებით დგება, ჩვილის უსიცოცხლო სხეული ხელში აჰყავს, ტკივილით ადის ნაგებობის მეორე სართულზე, კუბოს ხდის, ბავშვს შიგ აწვენს, თავსახურს ისევ აფარებს, მესამე სართულზე ადის და დარბაზს სასოწარკვეთილი სახით აშტერდება.

მშვინვიელი

(მწარედ)
გზისპირელი პირს აწკლაპუნებდა..

დარბაზის კარი ხმაურით იღება და იხურება, გზისპირელი შემოდის, შავი თოკებიანი მოსასხამი აღარ აცვია, ხელში თოფი უკავია, მხრებზე დარაჯის ცხედარი აქვს გადაგდებული, სცენაზე ადის, დარაჯს სანაყში სვამს, თვითონ სცენის მარჯვენა კიდესთან ჩერდება თოფმომარჯვებული და დარბაზს გახედავს.

გზისპირელი

(მთრთოლვარედ, თითქმის ყვირილით)
ბაღნარში ფოთოლი ვარდებოდა,
დაბრძენებული ხეების ცისფერი სიზმრები გატეხილ ქვათა ამაო ქშენას
მიშტერებოდნენ. კამკამა მდინარეები მედგრობას ვეღარ ეგუებოდნენ.
გაბოზებული, გამხდარი იასამანი ბარდნიდა მშვენიერებას. უშემოდგომო
ფოთოლთაცვენა აძღობდა მაყურებელთა მოცარულ სევდას.
ახლოვდებოდა მეძავის ქორწილი.

მედროვე ვარდები, კუჭავსილები, ჰყვაოდნენ გარდასულ დროთა უფერულ დღეებს. ჩრდილოეთიდან, ბაღისკენ მიმავალ, უდაბურ ბილიკზე ჩნდებოდა ლანდი, რომელსაც თან სდევდა ატეხილ ქართა მგრგვინავი მდუმარება.

გზისპირელი ნაბიჯს სცენის კიდისკენ დგამს, ნერვიულად სცემს ბოლთას.

გზისპირელი

მგრგვინავი მდუმარების უკუნ სიბნელეში, შიშის მორევში, გაგულისებული მატრიარქატის..

მშვინვიელი

(მრისხანედ)
გზისპირელო, მესროლე!

გზისპირელი

ახედავს.
კი მაგრამ ჯერ მონოლოგი არ დამისრულ..

მშვინვიელი

მესროლე მეთქი!

გზისპირელი იარაღს ტენის, უმიზნებს, ესვრის, სროლისთანავე თოფს ძირს აგდებს, ტრიალდება და იჩოქებს.
მშინვიელი მესამე სართულზე შებორძიკდება და სცენაზე ჩამოვარდება.

გზისპირელი

(მოთქმით)
ისევ ითოვებს გაზაფხულზე, ჩემს ძველ ეზოში,
გადავეშვებით მე და ღამე ბაღნარის ომში.
ქარიც დასჭექავს შესაზარი, შავი ზარებით,
კვლავ დავმარცხდები, მეშინია მომენატრები.
მშვინვიელი დგება, ფეხთან კაბა სისხლით აქვს მოსვრილი, გზისპირელისკენ კოჭლობით მიდის.
მემხობა თავზე, საშვილოსნოს თეთრი კედელი,
მიფატრავს აზრებს, გლოვის სიო, ხეთა მრხეველი.
სიჩუმე მიხმობს, მარადიულ დროთა მსტოვარი,
მომიყვეს სიბრძნე, მეფეთაგან დანატოვარი.
თურმე მწადია დავიმონო მთათა მწვერვალი,
გარდავიცვალო და დავბადო თეთრი მერცხალი.
მთათა კიბეზე ჰკიდებია თურმე ბევრს ობი,

ყოფილა კიბე მარადიულ გრძნობათა მგმობი,
შეუდგამთ ფეხი, გულუბრყვილოდ, წმინდა ტრფიალით..

მშვინვიელი თოფს იღებს ტენის, სანაყს ესვრის, სანაყი შუაზე იხსნება, დარაჯი იატაკზე ვარდება, შეშინებული გზისპირელი მშვინვიელისკენ ტრიალდება, სცენაზე ზის, ხელებით ზურგს აყრდნობს.

მშვინვიელი

(ზიზღით)
შეუდგამთ ფეხი, გულუბრყვილოდ, წმინდა ტრფიალით,
დავიწყებიათ ვისიც სწამდათ ხოტბის ფიალით.
და შენც შეშინდი, მოგერია ღრმა სინანული,
რომ დამინახე შენი სატრფო, ცრემლმორეული.
გწადიან შველა, ვახ, რომ საშველი არსაითა სჩანს,
მწვერვალის იქეთ, სიმარტოვის დაღმართი მოსჩანს.
ჩვილად ქცეულხარ, არტახები გბოჭავენ მერცხლად,
ისევ მარცხდები, გლოვისფერი გიპყრობს ეულად.
კვლავ აღსდგებიან, საშვილოსნოს თეთრი კედლები,
მოგენატრება, მჭერმეტყველი, ჩემი ხელები.
იარაღს ტენის.
მკლავი დაგღლია, გზისპირელო, თუ დარაჯი დაგიძახო?

მშვინვიელი დაუყოვნებლივ ესვრის, გზისპირელი ასწრებს თავსა და თოფს შორის ხელის აღმართვას, მაჯა შუბლში ხვდება, იატაკს ერთხმება და კვდება.
მშვინვიელი თოფს ეყრდნობა დაჭრილი ფეხის მხარეს, მის უკან კულისებიდან კვლავ შავ მოსასხამებში, ჭიპლარ გადაბმულები, მედეა, ოიდიპოსი და იოკასტე შემოდიან, მედეა თოკით ძირს კიდევ ერთ შავ მოსასხამს მოათრევს, ნაბიჯს მშვინვიელისკენ დგამს.

მედეა

(დაბნეულად)
ჩვენ რაღა ვქნათ, მშვინვიელო?

მშვინვიელი გახედავს, შემდეგ დარბაზს მოავლებს თვალს, გულთმისანებისკენ შეტრიალდება და ნაგებობისკენ წავა.

მშვინვიელი

(გაწონასწორებულად)
ყველა დახოცეთ!

ოიდიპოსი, მედეა და იოკასტე მოსასხამების კალთებიდან ავტომატებს აძვრენენ, სცენის კიდესთან მიდიან, მაყურებელს ცეცხლს უხსნიან, დიდხანს ისვრიან. ბოლოს გზისპირელის გვამს იღებენ, კვლავ კუბოში აწვენენ, კუბოს ხურავენ და სცენას ტოვებენ.

სცენაზე მხოლოდ მშვინვიელი დარჩა, მესამე სართულზე, მაკრატელზეა გაცმული, ხელები სახელურებზე ულაგია, ფეხები საჭრელ პირებზე, თავი მარცხნივ აქვს ჩამოკიდებული.
მარცხენა კულისიდან რეჟისორის ასისტენტი რეჟისორს კამერიანად შემოაგორებს, ბორბლების წრიპინით, რეჟისორი კამერაში იყურება და ობიექტივს ნელ-ნელა დარბაზისაკენ ატრიალებს, შემდეგ ასისტენტს ანიშნებს, რომ გაჩერდეს, დგება და ერთხანს დარბაზს მოავლებს თვალს.

რეჟისორი

(დინჯად)
რამდენია?

ასისტენტი დამსწრეთა რაოდენობას ასახელებს.

რეჟისორი

გარდაცვალების დრო და მიზეზი?

რეჟისორის ასისტენტი

(ბორძიკით)
ჯერ არ ვიცით.

რეჟისორი

ოქმი გახსენი.
ასისტენტი ბლოკნოტს ხსნის.
არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ამდენი ცხედარი.
გარდაცვალების დრო და მიზეზი განხილვის საგანია.
ასისტენტი ბლოკნოტს ხურავს.
არ დახურო, ჩაიწერე.
რეჟისორი გულის ჯიბიდან კონვერტს იღებს ხსნის და კითხულობს.
ეპილოგი:
გლოვისფრად შემოსილი ღიმღამიანი დღის ანაზდეულ ზმანებაში, იქ სადაც სიზმარმხილველნი ანდაზებს თხზავდნენ, უგუნური დედაკაცების უბეებს მოწყურებული უტყვი ხელმწიფეები კი გაუგონარი მდუმარებით მჭერმეტყველებდნენ...
გლოვისფრად შემოსილი ღიმღამიანი დღის, უღიმღამო ცაზე, მთვარე არ გამოცხადდა.
უმთვარო გლოვაში ჩაკარგული დღის, უმსტოვარი სიზმარმხილველნი, უგუნური დედაკაცების უბეები და მდუმარე ხელმწიფეები, საფლავის უპიროვნო ქვებად გარდაცვლილიყვნენ.
ასე, ამგვარად, მთავარი გმირი - მთვარე - უარს აცხადებს, მკაფიოდ, ჩვენთვის ამბის მბობაზე.

დღეს ზღაპარი არ იქნება, დახუჭეთ თვალები!
დახუჭეთ თვალები, ან თავად შეთხზეთ, მოქარგეთ ტუილების ჭრელი რიდე,
მივიწყებული ოცნებების, კუდიანი გორგალით!
დასასრული.